პროლეტარიელო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 76 (18618) პარასკევი, 1 აპრილი, 1983 წელი ფასი 3 კაპ.

200 — გეორგიევსკის ტრაქტატი

საუკუნოვანი თანაღრიცხვა და ენთოზის კანონიერი

1921 წლის 14 აპრილს ვ. ი. ლენინი აზერბაიჯანის, საქართველოს, სომხეთის, დაღესტნისა და მთიელთა რესპუბლიკის ამხანაგ-კომუნისტებს სწერდა: ...„ეკონომიური მხრივ ყოველნაირად, გაძლიერებით, სწრაფად გამოვიყენოთ კაპიტალისტური დასავლეთი კონცესიებისა და საქონელცვლის პოლიტიკაში. ნავთი, მარგანეცი, ქვანახშირი (ტყვარჩელის მაღაროები), სპილენძი — ასეთია უდიდეს სამთამადნო სიმდიდრეთა ოდნავადაც არასრული სია“... (ტომი 32, გვ. 398).

ექვსი ათეული წლის წინათ, მისთვის ჩვეული, ზუსტი წინასწარმეტყველებით ვ. ი. ლენინმა განჭვრიტა საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის, კერძოდ, მრეწველობის მთელი რიგი წამყვანი დარგების პერსპექტივა. ჩვენს რესპუბლიკაში მრავალგვარი ბუნებრივი სიმდიდრეა. აქ არის ქვანახშირისა და მურა ნახშირის რამდენიმე საბადო. წიაღისეულთა შორის გამოირჩევა ჭიათურის მანგანუმი, რომელიც საუკეთესოა მსოფლიოში. ამ საბადოების მადანს წარმატებით იყენებენ ზესტაფონის ფეროშენადნობის ქარხანაში მაღალი მარკის ფერომანგანუმის მისაღებად. ჭიათურის მანგანუმი იგზავნება აგრეთვე ჩვენი ქვეყნის სხვა მეტალურგიულ ქარხნებსა და უცხოეთში.

საქართველოს ზოგიერთ ადგილას მოიპოვება მრავალლითონიანი ტყვია-თუთიის სანინისტროს დავალებათა შესრულებისა და მადნეულის სამთო-მამდიდრებელი კომბინატის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამის უზრუნველყოფისათვის, იმისათვის, რომ კომბინატი მეთერთმეტე ხუთწლედისა და 1990 წლისათვის გახდეს რესპუბლიკისა და საკავშირო სამინისტროს სამაგალითო-საჩვენებელი საწარმო, გათვალისწინებულია ამაღლდეს საამქროების, უბნებისა და სამსახურების ხელმძღვანელთა პერსონალური პასუხისმგებლობა მინდობილი საქმისათვის, განმტკიცდეს შრომისა და საწარმოო-საშემსრულებლო დისციპლინა წარმოების ყველა უბანზე; მიაღწიოს სათბობ-ენერგეტიკული და მატერიალური რესურსების მაქსიმალურ ეკონომიას; წარმოებაში დაინერგოს მეცნიერებისა და ტექნიკის მოწინავე მიღწევები. ამ პროგრამის განხორციელებაში მადნეულელებს ყოველმხრივი დახმარება უნდა აღმოუჩინონ „საკსპილენძმა“, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების, დანადგართა, კაპიტალური მშენებლობის, საპროექტო სამუშაოთა, მთავარი მექანიკოსის, მთავარი ენერგეტიკოსისა და მუშათა მომარაგების სამმართველოებმა.

წლეულს საპროექტო სამუშაოთა სამმართველომ სსრ კავშირის საგეგმო კომიტეტს უნდა შეუთანხმოს 1983-1985 წლებისათვის დასამტკიცებლად მადნეულის სამთო-მამდიდრებელი კომბინატის 1983-1985 წლებისა და 1990 წლის პერიოდისათვის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმით გათვალისწინებული ასაშენებელი ობიექტების საპროექტო სამუშაოთა სია.

კაპიტალური მშენებლობის სამმართველომ აღნიშნული ობიექტები ჩართოს 1983-1985 წლებში ასალმშენებლობათა სიაში და შეუთანხმოს სსრ კავშირის საგეგმო კომიტეტს.

მთავარი ენერგეტიკოსის, დანადგართა და მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სამმართველოებმა მადნეულის სამთო-მამდიდრებელ კომბინატს დამატებით გამოუყონ სპეციალური ცენტრადანული ტუმბოები, ექსკავატორებისათვის საამწეო ელექტროძრავები, კაბელი საქალაქო სატელეფონო კავშირისათვის („კარატის“ ტრანსპორტის ავტომატიზებული სისტემის სამართავად), 272 ტონა ცემენტი, 1500 კვადრატული მეტრი საფანჯრე მინა, 500 კვადრატულ მეტრზე მეტი მოსაპირკეთებელი და მერქანბურბუშელის ფილები და სხვა საშენი მასალები.

„საკსპილენძმა“ და კაპიტალური მშენებლობის სამმართველომ 1984-1985 წლების გეგმებსა და მეთორმეტე ხუთწლედის გეგმის პროექტში მადნეულის სამთო-მამდიდრებელი კომბინატისათვის გაითვალისწინონ კაპიტალდაბანდებათა გამოყოფა საიჯარო სამუშაოების ლიმიტების გამოყოფით კომბინატის ობიექტების ასაშენებლად და 1983 წლის მეორე კვარტალისათვის მოამზადონ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში წარსადგენად სამინისტროს წინადადება (როგორც გამონაკლისი) კომბინატისათვის 800-ადგილიანი კლუბის, სპორტულ-გამაჯანსაღებელ ნაგებობათა და შავი ზღვის სანაპიროზე 250 დამსვენებლისათვის პანსიონატის მშენებლობის შესახებ.

მთავარი ენერგეტიკოსის სამმართველომ განახორციელა ღონისძიებანი კომბინატისა და დაბა კაზრეთის თბომომარაგების სისტემის მდგომარეობის გამოსაკვლევად, იმ ვარაუდით, რომ წლეულს სამინისტროს წარუდგინოს წინადადებანი აღნიშნული სისტემის ნორმალურ მდგომარეობაში მოსაყვანად, ავტომატიზაციაზე სამრეწველო საქმიანობის გადაყვანისა და მისი საკონტროლო-საზომი ხელსაწყოებით აღსაჭურვავად.

მუშათა მომარაგების სამმართველო რუსეთის შემადგენლობაში საქართველოს შესვლის 200 წლისთავის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულთა დასაჯილდოებლად გამოყოფს ხუთ ცალ ავტომანქანა „ურგულს“.

ყველა ზემოხსენებული ღონისძიების განხორციელების კონტროლი მინისტრის ბრძანებით დავალებული აქვს „საკსპილენძს“.

დიახ, საქართველოს ფერადი მეტალურგიის აღორძინების გზაზე გადადგმულია კიდევ ერთი მტკიცე ნაბიჯი.

მეგობრობის დღესასწაული საყოველთაოა

ბადოები, სხვადასხვაგვარი იშვიათი ლითონები და სპილენძის მადანი, არამადნეული წიაღისეული საბადოებიც.

დღეს მკითხველს ვთავაზობთ ეკონომიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი, რესპუბლიკისათვის ახალი დარგის — ფერადი მეტალურგიის შემდგომი განვითარების მიზნით შექმნილ კიდევ ერთ საინტერესო დოკუმენტს, რომელსაც ხელი მოაწერა სსრ კავშირის ფერადი მეტალურგიის მინისტრმა ამხ. პ. ლომპაკომ.

მიმდინარე წლის 11 მარტს მან გამოსცა ბრძანება „მადნეულის სამთო-მამდიდრებელი კომბინატის შემდგომი განვითარების და რუსეთის შემადგენლობაში საქართველოს შესვლის 200 წლისთავისათვის ამ კომბინატის მშრომელთა ღირსეული შეხვედრის ღონისძიებათა შესახებ“.

ბრძანებაში აღნიშნულია, რომ რუსი და ქართველი ხალხების, ჩვენი ქვეყნის სხვა ეროვნებათა ხალხების ურღვევი მეგობრობისა და ინტერნაციონალიზმის ერთ-ერთი სიმბოლო გახდა 1975 წელს საქართველოს სსრ ფერადი მეტალურგიის პირმშოს — მადნეულის სამთო-მამდიდრებელი კომბინატის ამოქმედება. მოკლე დროის მანძილზე კომბინატი რესპუბლიკის ერთ-ერთ მსხვილ საწარმოდ, საქართველოში განვითარებადი ახალი სამრეწველო დარგის — ფერადი მეტალურგიის ცენტრად იქცა. რუსი და სხვა მოძმე ხალხების ძმური დახმარებით კომბინატი აღიჭურვა დიდმწარმოებლური მანქანა-დანადგარებით, დაკომპლექტდა მაღალკვალიფიციური კადრებით — მუშებითა და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებით, სისტემატურად ასრულებს და აჭარბებს კიდეც სახელმწიფო გეგმებს. ამჟამად კომბინატში ხორციელდება დიდი მოსამზადებელი სამუშაოები მისი საპროექტო სიმძლავრის მთლიანი ათვისებისათვის, ნედლეულის კომპლექსური გამოყენების რეალიზაციისა და უნარჩენო წარმოების ორგანიზაციისათვის.

ეგებებიან რა გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავს, კომბინატის მშრომელები ფარნოდ ჩაებნენ ამ სახელოვანი იუბილეს აღსანიშნავად გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში. მიმდინარე წლის საწარმოო გეგმების, სამინისტროს დავალებათა შესრულებისა და მადნეულის სამთო-მამდიდრებელი კომბინატის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამის უზრუნველყოფისათვის, იმისათვის, რომ კომბინატი მეთერთმეტე ხუთწლედისა და 1990 წლისათვის გახდეს რესპუბლიკისა და საკავშირო სამინისტროს სამაგალითო-საჩვენებელი საწარმო, გათვალისწინებულია ამაღლდეს საამქროების, უბნებისა და სამსახურების ხელმძღვანელთა პერსონალური პასუხისმგებლობა მინდობილი საქმისათვის, განმტკიცდეს შრომისა და საწარმოო-საშემსრულებლო დისციპლინა წარმოების ყველა უბანზე; მიაღწიოს სათბობ-ენერგეტიკული და მატერიალური რესურსების მაქსიმალურ ეკონომიას; წარმოებაში დაინერგოს მეცნიერებისა და ტექნიკის მოწინავე მიღწევები. ამ პროგრამის განხორციელებაში მადნეულელებს ყოველმხრივი დახმარება უნდა აღმოუჩინონ „საკსპილენძმა“, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების, დანადგართა, კაპიტალური მშენებლობის, საპროექტო სამუშაოთა, მთავარი მექანიკოსის, მთავარი ენერგეტიკოსისა და მუშათა მომარაგების სამმართველოებმა.

საბჭოთა მთავრობის განცხადება

ახლო აღმოსავლეთიდან, სადაც ვითარება ისედაც საშიშად გამწვავებულია, ახალი შემაშფოთებელი ცნობები მოდის. ისრაელის სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწენი ერთმანეთს არ აცლიან და აკეთებენ განცხადებებს სირიასთან „პრევენტიული“ ომის გარდაუვალობისა და ამისთვის ისრაელის არმიის მზადყოფნის შესახებ. ისრაელში აშკარად ემზადებიან საომრად სირიისათვის ავიაზაკური დარტყმის მისაყენებლად.

და კვლავ, როგორც ეს არაერთგზის მომხდარა წინათ, ცდილობენ ეს აგრესიული ზრახვები გაამართლონ ვითომ ისრაელის „უშიშროების დაცვისათვის“ ზრუნვით. ამჟერად საბაბად იყენებენ წმინდა თავდაცვითს ღონისძიებებს, რომლებსაც სირია ახორციელებს თელ-ავივის მხრიდან მზარდი საფრთხის გამო.

ისრაელი ექსპანსიონისტების პირფერობას საზღვარი არა აქვს. სულ ახლახან იმავე „უშიშროების დაცვის“ ნიღბით მათ ჩაიდინეს ბარბაროსული აგრესია ლიბანის წინააღმდეგ, მოკლეს ათიათასობით მშვიდობიანი მცხოვრები, არსებითად დაიპყრეს ამ სუვერენული ქვეყნის დიდი ნაწილი. ახლა სირიის წინააღმდეგ ღესავენ მახვილს.

არავინ დაიჯერებს, რომ ისრაელის უშიშროებას რაიმე საფრთხე ემუქრება, პირიქით, სწორედ იგი გახდა ახლო აღმოსავლეთში ომის საფრთხის მუდმივი წყარო, განუწყვეტლივ ემუქრება რა შეიარაღებული ანგარიშსწორებით მეზობელ არაბულ ქვეყნებს.

ის, რომ ახლა აპირებენ დარტყმა მიაყენონ სირიას, დაკავშირებულია იმასთან, რომ ეს ქვეყანა მთავარი დაბრკოლებაა თელ-ავივის ხელმძღვანელობის დამპყრობლური ზრახვების რეალიზაციის გზაზე. ქედი მოახრევინოს სირიას, უარი ათქმევინოს იმპერიალისტური და სიონისტური ხრიკების წინააღმდეგ ბრძოლაზე — ეს არის თელ-ავივის ოდინდელი მიზანი და არა მარტო მისი.

როცა ისრაელის მხედრიონი ცეცხლითა და მახვილით უტევს არაბულ მიწებს, ყველასთვის ცნობილია, რომ მას ეს მახვილი ხელთ მისცა ვაშინგტონმა. ვაშინგტონისა და თელ-ავივის სტრატეგიულმა შეთანხმებამ ურიცხვი მსხვერპლი, დიდი ტანჯვა-ვაება მოუტანა არაბ ხალხებს.

ვაშინგტონის მიერ ისრაელის პრეტენზიების უსიტყვო მხარდაჭერა მიზეზია იმ აღმაშფოთებელი სიჯიუტისა, რომლითაც ისრაელი ცდილობს მიიღოს „ჯილდო“ განუწყვეტელი აგრესიისათვის — აიძულოს არაბები შეურიგდნენ მის შედეგებს, წაართვას პალესტინის არაბ ხალხს თავისი კანონიერი ეროვნული უფლებების განხორციელების შესაძლებლობა.

ისრაელი ამერიკის შეერთებული შტატების თანხმობით მკვდრდება ოკუპირებული ლიბანის მიწა-წყალზე იმ იმედით, რომ ასე თუ ისე მორჩილებაში იყოლიებს მას. ამ ქვეყანას ულტიმატუმურ პირობებს უყენებენ. ისრაელი მას თავს აბვევს აგრეთვე ნაცვალს, თავის დამქაშ ჰადდს — ლიბანელი ხალხის მოღალატეს. უფრო მეტიც, ადგენენ და ახორციელებენ მთლიანად ახლო აღმოსავლეთში ამერიკის შეერთებული შტატებისა და ისრაელის ერთობლივი სამხედრო-პოლიტიკური ბატონობის დამყარების გეგმებს. ზოგიერთ ვინმესაც ეშუქრება ამერიკა-ისრაელის შეთქმულებაში ჩართვის საფრთხე.

შემთხვევითი არ არის, რომ სირიის წინააღმდეგ მილიტარისტული ისტერიის გაღვივებას თან ახლავს პარტნიორისათვის ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკური, სამხედრო და ფინანსური დახმარების გაფართოება. სულ ახლახან ვაშინგტონში გამოაცხადეს, რომ ისრაელს ეგზავნება იარაღის ახალი დიდი პარტია. ამასთან დასაბუნია დამატებით მისცენ მას ფ-16 და ფ-15 ტიპის ყველაზე თანამედროვე ავიაგამანადგურებელ-ბომბდამშენების პარტია.

სირიის მიმართ ისრაელის დანაშაულებრივი ზრახვები ვერავის დატოვებს გულგრილს, და ისინი უნდა ჩაიფუშოს. სირიელი ხალხი მარტო არ არის. მის მხარეზე არიან არაბი პატრიოტები, სოციალისტური ქვეყნები, ყველა, ვისთვისაც ძვირფასია მშვიდობის, სამართლიანობისა და ღირსების საქმე.

დრო თელ-ავივმა შეწყვიტოს ცეცხლთან თამაში. საბჭოთა კავშირი კვლავ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ იარაღის ძალით, ომის გზით კი არა, მხოლოდ ყველა დაინტერესებული მხარის პოლიტიკური მეცადინეობის მეშვეობით, სამართლიანი, ყოვლისმომცველი მოწესრიგების გზით შეიძლება ახლო აღმოსავლეთის ყველა ხალხის კანონიერი უფლებებისა და ინტერესების უზრუნველყოფა.

მისალოცი დეპეშა

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფედერალურ კანცლერს ჰელმუტ კოლს გაუგზავნა მისალოცი დეპეშა იმის გამო, რომ იგი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფედერალურ კანცლერად აირჩიეს.

დეპეშაში გამოთქმულია იმედი, რომ საბჭოთა კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ურთიერთობა კვლავაც განვითარდება მოსკოვის ხელშეკრულებისა და სხვა შეთანხმებების საფუძველზე ჩვენი ხალხების მშვიდობიანი მომავლის, გამალებული შეიარაღების, უწინარესად ბირთვული შეიარაღების შეკავების ინტერესებისათვის, საყოველთაო მშვიდობის დამკვიდრების ინტერესებისათვის. (საკდესი).

მიფრინავს „კოსმოს-1448“

1983 წლის 30 მარტს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოს-1448“.

თანამგზავრზე დადგმული სამეცნიერო აპარატურა ნორმალურად მუშაობს, განაგრძობს კოსმოსური სივრცის კვლევას.

საკოორდინაციო - გამოთვლითი ცენტრი ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას. (საკდესი).

ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲛᲝᲮᲛᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲥᲝᲜᲚᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲒᲐᲓᲘᲓᲔᲑᲘᲡ, ᲐᲡᲝᲠᲢᲘᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲒᲐᲤᲐᲠᲗᲝᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ ᲒᲐᲣᲛᲯᲝᲑᲔᲡᲔᲑᲘᲡ ᲦᲝᲜᲘᲡᲫᲘᲔᲑᲐᲜᲘ ᲡᲙᲙᲯ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ 1982 ᲬᲚᲘᲡ ᲜᲝᲔᲛᲑᲠᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲖᲔ ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒ Ი. Ვ. ᲐᲜᲓᲠᲝᲞᲝᲕᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲓᲐᲡᲐᲮᲣᲚ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲐᲗᲐ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ

ᲡᲙᲙᲯ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲑᲘᲣᲠᲝᲡ ᲬᲔᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲓᲘᲕᲜᲘᲡ ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒ Ე. Ა. ᲨᲔᲕᲐᲠᲓᲜᲐᲫᲘᲡ ᲛᲝᲮᲡᲔᲜᲔᲑᲐ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚ-ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲝ ᲐᲥᲢᲘᲕᲘᲡ ᲙᲠᲔᲑᲐᲖᲔ 1983 ᲬᲚᲘᲡ 30 ᲛᲐᲠᲢᲡ

ამხანაგებო!

ვიმოქმედოთ ადამიანისათვის, მისი კეთილდღეობისათვის — ეს არის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საპროგრამო მოთხოვნა, რომელმაც თანამიმდევრულად შეისახა ხორცი პარტიის ყველა ბოლოდროინდელი ყრილობის, ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებებში, სხვა სადირექტივო დოკუმენტებში. უშუალოდ ამ მოთხოვნის რეალიზაციის კალაპოტში ძევს სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების ყოველმხრივ გადიდების, ასორტიმენტის გაფართოების, ხალხისათვის განკუთვნილი პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების ამოცანაც.

ჩვენს ქვეყანაში სახურსათო პროგრამის განხორციელებასთან ერთად საყოველდღეო მოხმარების მაღალხარისხოვანი საქონლის გამოშვება სახეობათა ადამიანების საარსებო მნიშვნელობის პოტოგენილებათა დაკმაყოფილების აუცილებელი პირობაა.

ამ პრობლემას სერიოზული ყურადღება დაუთმო ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმმა. პლენუმზე გამოსვლისას ამხანაგმა ი. ვ. ანდროპოვმა საგანგებოდ აღნიშნა, რომ 1983 წლის გეგმაში დიდი ყურადღება ეთმობა სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გადიდებასა და ხარისხის გაუმჯობესებას, ჩამოყალიბდა ამ უაღრესად მნიშვნელოვანი ეკონომიკური და სოციალურ-პოლიტიკური ამოცანის გადაწყვეტის ძირითადი მიმართულებანი.

ჩვენი რესპუბლიკისათვის ამ პრობლემას პრინციპული მნიშვნელობა აქვს.

ერთი მხრივ, ისეთი დარგები, როგორიც არის მსუბუქი და კვების მრეწველობა, რომლებიც დიდი მოცულობის სახალხო მოხმარების საქონელს აწარმოებენ, მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ჩვენს ეკონომიკაში. მათ წილად მოდის მთელი სამრეწველო წარმოების 61,2 პროცენტი.

მეორე მხრივ, თუ გავითვალისწინებთ, რომ საზოგადოებრივი პროგრესის არსი საერთოდ ადამიანთა ცხოვრების პირობების გაუმჯობესებაა, ამ მიზანს სპეციალურ ანგარიშით უნდა დაექვემდებაროს საზოგადოებრივი წარმოების ნებისმიერი დარგის საქმიანობა.

და ბოლოს, მოსახლეობის სამომხმარებლო მოთხოვნილების დაკმაყოფილება არსებობს გავლენას ახდენს ეკონომიკის საერთო მდგომარეობაზე, საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების შემდგომი ზრდის სტიმულირებაზე. ეს კი გლობალური საკითხი გახლავთ.

ამრიგად, სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვების გაფართოება უნდა მივიჩნიოთ ამ მუშაობის უმნიშვნელოვანეს ნაწილად, რომელსაც რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სწრაფი ტემპის უზრუნველყოფად ვეწევით.

პირველი წელი როდია, რაც მიზანმიმართულ ღონისძიებებს ვახორციელებთ. ყრილობებზე, არსებითად ცენტრალური კომიტეტის ყველა პლენუმსა და პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე ჩვენ მეტ-ნაკლებად ვეხებოდით მოცემულ საკითხს. ამან თავისი ნაყოფი გამოიღო: შეძენილია გარკვეული გამოცდილება, იშვა ბევრი საინტერესო, სასარგებლო თაოსნობა.

და მაინც, მწვავედ იგრძნობა მოთხოვნილება, რომ განვაზოგადოთ, გავიაზროთ ყოველივე გაკეთებული, ღრმად ჩავწვდეთ წარმოქმნილ ტენდენციებსა და პროცესებს, რათა შევიმუშავოთ მთელი ამ რთული მრავალპლანიანი მუშაობის მართვის მწყობრი სისტემა. აი, რატომ არის, რომ რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის დღევანდელი კრება მთლიანად ეძღვნება სახალხო მოხმარების საქონლის პრობლემას.

ამხანაგები ამ სხდომაზე ხელცარიელი არ მოსულან. აქტივის მონაწილეებს ჰქონდათ კარგი შესაძლებლობა, გასცნობოდნენ მოხმარების საგნების გამომშვები მთელი რიგი საწარმოების საქმიანობას, დაეთვალიერებინათ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენა, სადაც ყოველივე ფასეული და მოწინავეა თავმოყრილი. არის სოლიდური წინადადებანი, რომლებიც, ჩვენი აზრით, დიდი ყურადღების ღირსია. სწორედ მათს განხილვას ვაპირებთ დღეს.

I.

სახალხო მოხმარების საქონელი ისეთი სფეროა, სადაც შედეგები ყველაზე უკეთ მოჩანს დროის შედარებით ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე. მაგალითად, 1970 წელთან შედარებით მისი წარმოება რესპუბლიკაში ერთიოროად და მეტად გაიზარდა. ხოლო თუ ათვლის წერტილად მივიღებთ 1965 წელს, ზრდა კიდევ უფრო შთამბეჭდავი იქნება — თითქმის 3,5-ჯერ.

არსებითი პროგრესი შეიმჩნევა ცალკეული დარგების მიხედვითაც. მაგალითად, მსუბუქ მრეწველობაში 10 წლის მანძილზე სახალხო საქონლის წარმოება ერთიორად გადიდდა. იგი განუხრელად იზრდებოდა კვებისა და ადგილობრივ მრეწველობაში, ელექტროენერგეტიკის საწარმოებში, ქიმიურ და ნავთობქიმიურ დარგებში, მანქანათმშენებლობაში და ა. შ.

წარმან რესპუბლიკის მრეწველობაში შექმნილია 3,5 მილიარდი მანეთის მოცულობის მოხმარების საგნები.

ბევრ სამინისტროსა და უწყებაში იგრძნობა სისტემური მიდგომა ამ საქონლის წარმოების გადიდებისადმი.

ძირეულად გარდაიქმნა, მაგალითად, მსუბუქი მრეწველობა, სადაც ამ ბოლო წლებში მწყობრში ჩადგა ხაშურის საფეიქრო-საგალანტერეო ფაბრიკა, თბილისის მოდელის ფეხსაცმლის ფაბრიკა, ქუთაისის საწარმოო სამკერვალო გაერთიანება „გელათი“, ზუგდიდის ფაიფურის ქარხანა, თბილისის გლდანისა და ცხინვალის ტრიკოტაჟის საცვლის ფაბრიკები. განხორციელდა თბილისის კამოელ-მაუდის კომბინატის „საბჭოთა საქართველოს“ გენერალური რეკონსტრუქცია და ტექნიკური განახლება. გამოიცვალა 20 ათასი ერთეული ტექნოლოგიური მოწყობილობა. მნიშვნელოვნად გაფართოვდა ფილიალების ქსელი. მეათე ხუთწლედში წარმოების მოცულობის ზრდის ტემპმა 25,6 პუნქტით გადაამეტა საშუალო საკავშირო მაჩვენებელს.

დიდ მუშაობას ეწევა საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრო. შექმნილია სამხატვრო-ტექნიკური საბჭო, რომლის შემადგენლობაშიც არიან სამხატვრო აკადემიის, ვაჭრობის სამინისტროს, სახსტანდარტის, ფასების სახელმწიფო კომიტეტისა და სხვა ორგანიზაციების კვალიფიციური სპეციალისტები.

საინტერესოდ აკეთებენ ამ მუშაობას სატყეო მეურნეობის სამინისტრო, სადაც მიმდინარე ხუთწლედის სამი წლის მანძილზე განსაზღვრულია 1,3-ჯერ გაიზარდოს მოხმარების საგნების გამოშვება, თითქმის ერთიორად გაფართოვდეს მათი ასორტიმენტი.

საგულისხმო გამოცდილებაა შეძენილი აგრეთვე მთელ რიგ სხვა ორგანიზაციებში, საკავშირო დაქვემდებარების ზოგიერთ მსხვილ საწარმოში. ერთობ ნიშანდობლივია, რომ ამჟამად ორმოცზე მეტი დასახელების პროდუქციას, ძირითადად რთულ საყოფაცხოვრებო ტექნიკას უშვებენ რესპუბლიკაში განლაგებული საკავშირო დაქვემდებარების საწარმოები, სადაც დაიწყო ფერადი ტელევიზორების, მაგიდის მცირეგაბარიტიანი ელექტრონული საათებისა და სხვა პროდუქციის დამზადება. ათვისების სტადიაშია საავტომობილო სტერეომაგნიტოფონები, ფერად-მუსიკალური მისადგამები, სხვა ნაკეთობანი.

მთლიანად ყოველივე ამან შესაძლებლობა მოგვცა მეთერთმეტე ხუთწლედის დარჩენილი პერიოდისთვისაც დაგვესახა რესპუბლიკაში სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების ზრდის უპირატესი ტემპი.

და მაინც, ეს პრობლემა ძალიან გვაწუხებს, ვინაიდან **მშრომელთა მოთხოვნილება ბევრ საქონელზე ჯერ კიდევ ცუდად კმაყოფილდება, არ შეეხამება მოთხოვნებს პროდუქციის მოცულობა, ხარისხი და ასორტიმენტი.**

გასაგებია, აქ სხვადასხვაგვარი მიზეზები მოქმედებს. თავისას შვრება მოსახლეობის მოთხოვნილების გადიდებაც და, რა თქმა უნდა, მათი დაკმაყოფილების მატერიალურ შესაძლებლობათა ამაღლებაც. რესპუბლიკის საწარმოო ძალების ინტენსიური განვითარება, შრომის ანაზღაურების ზრდა — განსაკუთრებით ამასთან დაკავშირებით, რომ ინერგება მატერიალური სტიმულირების პროგრესული ფორმები, წარმოშობს ბევრ მრავალფეროვან პრობლემას, რომელთა გადაწყვეტის გადიდება არას გვარგებს.

ამ საქმეში გვჭირდება კონკრეტული ამოსავალი წერტილი, ზუსტი კრიტერიუმი, რაც, ჩვენი აზრით, მოცემულ ეტაპზე უნდა გახდეს მოსახლეობის მზარდი ფულადი შემოსავლის საქონლით უზრუნველყოფის მაჩვენებელი. როგორც ამხანაგმა ი. ვ. ანდროპოვმა აღნიშნა, **ხელფასის ზრდა, თუ იგი არ არის უზრუნველყოფილი საჭირო, კარგი საქონლით, თუ, ბოლოს, მოიკოვლებს მომხახურების ხეირო, ვერ მოგვცემს მატერიალური კეთილდღეობის რეალურ გაუმჯობესებას.**

სამწუხაროდ, რესპუბლიკაში სწორედ ამ მხრივ ვერ გვაქვს სასიკეთო მდგომარეობა.

მაგალითად, 1972 წელთან შედარებით რესპუბლიკის მოსახლეობის ფულადი შემოსავლის მოცულობა თითქმის 2-ჯერ გაიზარდა. მისი ზრდის საშუალო წლიურმა ტემპმა ქალაქის მოსახლეობაში შეადგინა ხუთი პროცენტი, სოფლისაში — თითქმის თორმეტი პროცენტი. უდავოა, საერთოდ, ასეთი ტენდენცია დადებითად უნდა მივიჩნიოთ.

ამასთანავე მარტო მეთერთმეტე ხუთწლედის ორი წლის მახვილზე მოსახლეობის არარეალიზებული ფულადი შემოსავლის მოცულობამ პრაქტიკულად მიაღწია მთელი მეათე ხუთწლედის დონეს. დაუსაქონლებელი შემოსავლის ზვედრითმა წილმა შარშან 13 პროცენტს გადაამტა. საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მონაცემებით, გამუდმებით იზრდება რესპუბლიკის მოსახლეობის ფულადი ხარჯები საქართველოს ფარგლებს გარეთ.

ეს, რატომ არის, რომ ესოდენ მწვავედ დგება მთელი ამ პროცესების მართვის საკითხების, წამოჭრილ პრობლემათა გადაწყვეტისადმი კომპლექსური მიდგომის უზრუნველყოფის საკითხი. ამასთან **უაღრესად საჭიროა მივაღწიოთ იმას, რომ მოსახლეობის ფულადი შემოსავლის ზრდას უსაფუძვლოდ თან ხდეოდეს ხარჯების გადიდება, ანუ იმას, რომ გადადიხუნარიანი მოთხოვნილება აუცილებლად იფარებოდეს შესაბამისი რაოდენობის საქონლითა და მომსახურებით.** ეს პრინციპული მოთხოვნაა.

ამისათვის, რომ სისტემურად, უფრო სოლიდურ საფუძველზე წარვმართოთ ეს მუშაობა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან შექმნილია სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების განვითარების პერსპექტივების რესპუბლიკური კომისია, რომელსაც სათავეში უდგას ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. ს. ე. ხაბეიშვილი.

კომისიის უფლებები და ფუნქციური მოვალეობანი, რა თქმა უნდა, დაზუსტდება მისი პრაქტიკული საქმიანობის პროცესში, ეს ხომ პრინციპულად ახალი საქმეა! მაგრამ ამასთან საჭიროა, რომ კომისიას თვალთახედვის არეში ჰქონდეს რესპუბლიკაში სახალხო მოხმარების სამრეწველო საქონლის დაგეგმვის, წარმოებისა და განაწილების ყველა პერსპექტიული საკითხი, ახალი წარმოებებისა და ფილიალების მშენებლობა, ახორციელებდეს კონტროლს პროგრესულ სახეობათა პროდუქციის დანერგვისადმი, ხელს უწყობდეს წარმოებასთან მეცნიერების კავშირის განმტკიცებას, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას და ა. შ.

მაფიოდ ვხედავდით პერსპექტივას — დღეს ეს მოსახლეობის სამომხმარებლო მოთხოვნილების უფრო სრული დაკმაყოფილების ერთ-ერთი მთავარი რეზერვია.

II.

რესპუბლიკურ კომისიას, სხვა ორგანოებს მართებთ, ყურადღება მიაპყრონ **ხალხისათვის განკუთვნილი საქონლის წარმოების** ყოველი ღონისძიებით გაფართოებას.

უწინარეს ყოვლისა, საჭიროა **უკეთ გამოვიყენოთ არსებული საწარმოო სიმძლავრენი.** მაგალითად, რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს ბამბეულის წარმოების სართავი ტექნოლოგიური მოწყობილობა დღესდღეობით მხოლოდ 55 პროცენტით გამოიყენება, მაშინ როცა საშუალოდ ქვეყანაში ეს მაჩვენებელი თითქმის 83 პროცენტს შეადგენს. ფეიქრობაში ამ მაჩვენებლების თანაფარდობაა 51,8 და 87,6 პროცენტი, აბრეშუმის ქსოვაში — 76,2 და 86,3 პროცენტი, მატყლის დართვაში — 62,8 და 79,4 პროცენტი, ხალიჩისა და ფარდაგ-ნოხების წარმოებაში — 78 და 86,7 პროცენტი.

თუკი საწარმოო სიმძლავრეთა გამოყენების საშუალო საკავშირო დონეს მიაღწევენ,

საქართველოს პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება

(გაგრძელება)

ეს მაჩვენებლები. და მაინც, ძალიან ხშირად ეს თანაფარდობა ერთობ არადამაკმაყოფილებელია. მაგალითად, რუსთავის ამწესაშენებელი ქარხანაში ხელფასის 1 მანეთზე გამოშვებულია მხოლოდ 26,1 კაპიკის სახალხო მოხმარების საქონელი, გაერთიანება „ელმავალმშენებელში“ — 11,4 კაპიკისა, რუსთავის მეტალურგიული ქარხანაში — 2,4 კაპიკისა, რუსთავის ქიმიური ბოჭკოს ქარხანაში — 17,5 კაპიკისა, ხოლო ბათუმის ელექტრომექანიკურ ქარხანაში საერთოდ ძალზე უმნიშვნელო თანხის — დაახლოებით 0,03 კაპიკისა.

წარმოიდგინეთ, რა გამოვა, თუ ამ საწარმოთა დირექტორებს ამხანაგებს ა. ი. სირაძეს, ზ. დ. ჩიგაძეს, ო. ნ. სულაძეს, ი. მ. გრძელიძეს, პ. ვ. კალიანს ხელფასს ამ მაჩვენებელთა ანგარიშით დაუფრიცხავთ? ისინი არსებითად უხელფასოდ დარჩებიან.

იძულებული ვართ ჩვენს სამეურნეო ხელმძღვანელებს შევახსენოთ, რომ სახალხო საქონლის გამოშვება არა მარტო უაღრესად საჭირო, არამედ ხელსაყრელი საქმეც არის. სადაც მას თადარიგიანად უდგებიან, იქ უფრო სრულად იყენებენ ნედლეულსა და მასალებს, წარმოების მატებას მატერიალური დანახარჯების გაუდიდებლად უზრუნველყოფენ. მარტო შარშან რესპუბლიკის სამინისტროებმა და უწყებებმა, სამრეწველო გაერთიანებებმა და საწარმოებმა მეორეული ნედლეული რესურსების გამოყენებით თითქმის 20 მილიონი მანეთის მოხმარების საგნები გამოუშვეს.

მაგრამ მათს მეტ ნაწილს ჯერ კიდევ სრულად ვერ იყენებენ. ეს ეხება მეტალურგიული წარმოების, მსუბუქი მრეწველობის ნარჩენებს და ა. შ. ვერ შეეფერგდებით იმას, რომ დღემდე რესპუბლიკის ხე-ტყის მრეწველობის სამინისტროს, სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტისა და ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს ხისდამუშავებელ საწარმოებში მერქნის ნარჩენებიდან ცოტას უშვებენ მრავალფეროვან საქონელს. არადა, მათგან დამზადდებოდა საუცხო საბავშვო პირამიდები და კუბურები, სამზარეულო მოწყობილობის საგნები და სხვა ნაკეთობანი, რომლებზეც მოსახლეობის გადიდებული მოთხოვნილებაა.

ჩვენ მიზანშეწონილად მიგვაჩნია რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, სახმომარაგებას, სხვა სამეურნეო ორგანოს სპეციალურად დავაკისროთ, რომ ზედმიწევნით შეისწავლონ სახალხო საქონლის წარმოებაში მეორეული ნედლეული რესურსების გამოყენების საკითხი.

მრავალი სახეობის მატერიალურ-ტექნიკური რესურსების შეზღუდულობის პირობებში განსაკუთრებული ყურადღება გვმართებს ისეთი სერიოზული რეზერვისადმი, როგორიც ადგილობრივი ნედლეული რესურსების გამოყენებაა. ამ საქმეში კი გადამწყვეტი სიტყვა ეკუთვნის ადგილობრივ მრეწველობას.

ამ ბოლო წლებში, რესპუბლიკისათვის ამ ფრიად დიდმნიშვნელოვან დარგში, რომლის წილადაც ჩვენში გამოშვებული კულტურულ-საყოფაცხოვრებო და საოჯახო მოხმარების საქონლის დაახლოებით 17,7 პროცენტი მოდის, დადებითი ძვრები დაისახა. მეათე ხუთწლეულში ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს სამრეწველო წარმოების მოცულობა 2,4-ჯერ გაიზარდა. და მაინც, მისი შესაძლებლობანი მყიდველთა მოთხოვნილების უფრო სრული უზრუნველყოფის, ადგილობრივი რეზერვების უკეთ გამოყენების საქმეში ჯერ კიდევ აშკარად არასაკმარისად გამოიყენება.

ამ ცოტა ხნის წინათ რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა სამინისტროებთან ერთად შეიმუშავა წინადადებანი 1990 წლამდე პერიოდისათვის დარგის განვითარების უზრუნველსაყოფად. ამ წინადადებებში, კერძოდ, დასახულია უპირატესი ტემპით განვითარდეს საშენ მასალათა წარმოება, ხისდამმუშავებელი და ლითონდამმუშავებელი მრეწველობა, მკვეთრად გადიდდეს კულტურულ-საყოფაცხოვრებო და საოჯახო დანიშნულების მარტივი საქონლის გამოშვება, რომლის წარმოებაც ცენტრალიზებულად არ იგეგმება. სწორედ ადგილობრივი მრეწველობაა მოწოდებული აღმოფხვრიდეს რეგიონულ დეფიციტს, ამა თუ იმ ნაწარმზე, ასწორებდეს ცენტრალიზებული დაგეგმვის ცალკეულ ხარვეზებს.

მეთერთმეტე ხუთწლედში განზრახულია ერთიორად და მეტად გადიდდეს პროდუქციის გამოშვება ადგილობრივი ნედლეულისა და ნარჩენებისაგან, და ეს მიღწეულ იქნეს, ძირითადად, მინერალური წყლების, მოსაპირკეთებელი საშენი მასალების, გაჯის, კირის, ბამბუკის, ლუფისა და სხვა მასალათა რესურსების გამოყენების ეფექტიანობის ამაღლების გზით.

რაკი სიტყვა ადგილობრივ მინერალურ რესურსებზე ჩამოვარდა, ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ რესპუბლიკას აქვს რეალური შესაძლებლობა საექსპორტოდ გაგზავნოს ზოგიერთი მათგანი და ამით გაადიდოს ჩვენი სავალუტო შემოსავალი, უწონარეს ყოვლისა, აქ იგულისხმება არამდნეული და არალითონმადნეული ნედლეულის წარმოება. შარშან უცხოელმა სპეციალისტებმა ბუნებრივი მოსაპირკეთებელი ქვების რამდენიმე კარიერი დაათვალიერეს და დაინტერესდნენ სალიეთის მარმარილოს საბადოთი, ბოლნისის ტუფითა და უწლევის დიაბაზების საბადოთი.

საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიანი საქონლის გამოშვების გარკვეული შესაძლებლობანი აქვს სატყეო მეურნეობის სამინისტროსაც. უწონარეს ყოვლისა, ეს არის ძვირფასი ჯიშების მერქნის ნაწარმი, რომლებზეც დიდი მოთხოვნილებაა საზღვარგარეთ. ამასთან სამინისტროს, რასაკვირველია, უნდა შევაშველოთ შესაბამისი მოწყობილობა, საერთოდ, როგორც ამხანაგებმა მოგვახსენეს, გარკვეული რაოდენობის დაზგებისა და ზოგიერთი მასალის გამოყოფისას სატყეო მეურნეობის სამინისტროს აქვს საიმისო პირობები, რომ დაახლოებით 1,5-ჯერ გაზარდოს სახალხო მოხმარების საქონლის წარმოება, რომლის მოცულობა უკვე გადიდებულია რამდენიმე მილიონ მანეთამდე. რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა უფრო აქტიურად უნდა შეუწყოს ხელი დარგს ამ ამოცანის რეალიზაციაში.

სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვების გადიდების მდიდარი რეზერვები აქვთ სხვა არასამრეწველო სამინისტროებსა და უწყებებსაც, მაგალითად, ცეკავშირის საწარმოებს შეუძლიათ 40-ზე მეტი დასახელების ნაწარმი გამოუშვან მეორეული ნედლეულისაგან. საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროში ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის კერვის, ავეჯის დამზადების, მოსახლეობის ინდივიდუალური შეკვეთების ტრიკოტაჟის ნაწარმის ქსოვის მხრივ საშუალო საკავშირო დონის მიღწევა შესაძლებლობას მოგვცემს **დამატებით დავამზადოთ დაახლოებით 14 მილიონი მანეთის საქონელი.**

სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გადიდების სერიოზულ შესაძლებლობებს სახავს რესპუბლიკაში რაიონების აგროსამრეწველო გაერთიანებათა შექმნაც, რომლებსაც ცენტრალიზებული ფონდები აქვთ. ახლა სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციები უკვე უშვებენ 120-130 მილიონი მანეთის პროდუქციას, მათ შორის მოხმარების საგნებს. ვფიქრობთ, რომ ამ საქმის განვითარებასას არ უნდა დავჯერდეთ მიღწეულს და სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის სისტემაში შევქმნათ სპეციალური სამრეწველო-საწარმოო გაერთიანება, რომლის ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი ფუნქცია იქნება სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების ორგანიზაცია.

მთავარი ამოცანა ის არის, რომ მივაღწიოთ ადგილობრივი ნედლეული და შრომითი რესურსების რაციონალურ გამოყენებას, მეტადრე, სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების სეზონებს შორის პერიოდში. ამას არსებითი მნიშვნელობა აქვს ოროგრაფ ეკოლეიურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ეკონომიკის, ისე მთლიანად რესპუბლიკის სამრეწველო პოტენციალის გადიდებისათვის. მთავარია, მარჯვედ წარვმართოთ რაიონულ აგროსამრეწველო გაერთიანებათა კოოპერაცია ადგილობრივ მრეწველობასთან, მსხვილ საწარმოებთან, მათ შორის საკავშირო დაქვემდებარების საწარმოებთანაც.

აქ ბევრი რამ არის დამოკიდებული საწარმოთა ხელმძღვანელების დაინტერესებაზე. არაერთხელ გვითქვამს, რომ სერიოზულ ყურადღებას იმსახურებს მაიაკოვსკის რაიონის გამოცდილება, სადაც კოლმეურნეობანი და საბჭოთა მეურნეობანი მსხვილ საწარმოებთან მორიგების საფუძველზე აწყობენ ზოგიერთი მაკომპლექტებელი ნაწარმის დამზადებას. ჩვენ შეუზღუდველი შესაძლებლობანი გვაქვს საიმისოდ, რომ ფართოდ გამოვიყენოთ ეს გამოცდილება, უწონარეს ყოვლისა, სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებაში.

მთლიანად, სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის გამოანგარიშებით, მარტო არსებულ საწარმოო სიმძლავრეთა მაქსიმალური გამოყენების, აგრეთვე წარმოებაში ნარჩენების, მეორეული ნედლეულისა და ადგილობრივი რესურსების უფრო სრული მოქცევის გზით რესპუბლიკის მრეწველობას უკვე ახლა შეუძლია დაახლოებით 220 მილიონი მანეთით გაადიდოს სახალხო მოხმარების საქონლის წარმოება. აი, როგორი რეზერვები გვაქვს!

რესპუბლიკურმა კომისიამ თვალი უნდა გაადევნოს იმას, რომ რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი და სახმომარაგება, სამინისტროები და უწყებები, საკავშირო დაქვემდებარების საწარმოები მაქსიმალურად ითვალისწინებდნენ ამ რეზერვებს საგაბაო სახალხო-სამეურნეო გეგმის პროექტის შემუშავებისას და აღწევდნენ საკავშირო ორგანოებში შესაბამისი რესურსების გამოყოფას.

ამასთანავე, მეტი მზრუნველობის გამოჩენა გვმართებს სახალხო პროდუქციის გამომშვები საწარმოებისა და საამქროების **რეკონსტრუქციის, ტექნიკური განახლებისათვის,** არსებულ სიმძლავრეთა გადიდებისათვის. ზოგჯერ ჩვენ საკმაოდ აქტიურად არ ვეკიდებით მოხმარების საგნების წარმოების სპეციალიზებულ სიმძლავრეთა გაფართოებას მოქმედ საწარმოებში. მაგალითად, ქარხანა „ელექტროშედუღებაში“ შესაბამისი კორპუსის მშენებლობის საკითხი მთელი რვა წელი წყდებოდა. იშლება ლაქსაღებავი პროდუქციისა და საყოფაცხოვრო შეფუთვის პროდუქციის გამომშვებ ახალ სიმძლავრეთა ამოქმედება გაერთიანება „საქყოფქიმში“. სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების სიმძლავრეთა შექმნის სოლიდური შესაძლებლობანი აქვს თავდაცვითი დარგების, სსრ კავშირის ელექტროტექნიკური მრეწველობის, ხელსაწყოთმშენებლობის, შავი მეტალურგიის სამინისტროთა და სხვა უწყებათა ზოგიერთ წაწარმოს.

ყურადღებას იმსახურებს სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს და მინისტრის ნიკოლოზ ნიკიფორეს ძე ტარასოვის მიდგომა, რომელმაც ბევრი რამ გააკეთა ჩვენს რესპუბლიკაში დარგის განვითარების სწრაფი ტემპის უზრუნველსაყოფად. მთლიანად ეს მუშაობა თანამიმდევრულად წარმოებს.

ამ ცოტა ხნის წინათ ხელი მოვაწერეთ კონტრაქტს უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის წარმომადგენლებთან წყნეთის ბავშვთა ტანსაცმლის სამკერვალო ფაბრიკის რეკონსტრუქციისა და ტექნიკური განახლების შესახებ. ფაბრიკა უახლესი დიდწარმოებლური იმპორტული მოწყობილობით აღიჭურვება. რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის სამინისტრომ, მინისტრმა გ. პ. გამცემლიძემ განსაკუთრებული კონტროლი უნდა დაუწესოს მთელი ამ სამუშაოების განხორციელებას.

დარგის შემდგომი განვითარებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს ბრძანებას, ამხ. ნ. ნ. ტარასოვმა რომ გამოსცა გეორგიევსკის ტრაქტატის, იმ დოკუმენტის 200 წლისთავის ღღესასწაულის გამო, რომელმაც სამარადჟამოდ დაამოყვრა ქართველი ხალხი დიდ რუს ხალხთან. ბრძანების მიზანია ხელი შეუწყოს მსუბუქი მრეწველობის საწარმოთა მუშაობის ეფექტიანობის შემდგომ ამაღლებას. მასში განსაკუთრებული ადგილი უკავია რუსეთის ფედერაციის, უკრაინისა და სომხეთის საწარმოებიდან კოოპერირებული მოწოდების უზრუნველყოფის საკითხს. გათვალისწინებულია მიმდინარე წელს გამოიყოს 400 ერთეული ნედლეულის მოწყობილობა, კაპიტალური დაბანდება 44,5 მილიონი მანეთის ოდენობით, დიდი ყურადღება ეთმობა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევათა დანერგვას და ა. შ.

მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო გამონაკლისი როდია. ანალოგიური სოლიდური ღონისძიებანი დაგეგმეს რესპუბლიკის შესახებ კვების მრეწველობის მინისტრმა ამხ. ვ. პ. ლეონმა, ხილბოსტნეულის მეურნეობის მინისტრმა ამხ. ნ. ტ. კოზლოვმა და სხვებმა. უკვე გამოცემულია საკავშირო მინისტრების 12 ბრძანება. ასეთი დამოკიდებულება, ჩვენი ღრმა რწმენით, მთლიანად შეესაბამება ჩვენი პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის მოთხოვნებს.

ყველაზე სერიოზული ყურადღება უნდა დავუთმოთ სამრეწველო ორგანიზაციების ხელმძღვანელთა თაოსნობის განვითარებას. დღეს ამაზე ბევრი რამ არის დამოკიდებული.

მაგალითად, საკავშირო დაქვემდებარების საწარმოები სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვების დარგში ცუდ მუშაობს ხშირად ამართლებენ ობიექტური მიზეზებითა და სიძნელეებით, იმოწმებენ საკავშირო ორგანოებს, რომლებიც თითქოს არ წყვეტენ ზოგიერთ საკითხს, მეტადრე, ნედლეულისა და მასალის მიწოდებასთან დაკავშირებულ საკითხებს, არ იჩენენ დაინტერესებას. არადა, მეტწილად ეს სრულიად არ შეესაბამება ნამდვილად არსებულ ვითარებას.

სულ რამდენიმე დღის წინათ ელექტროტექნიკური მრეწველობის სამინისტროში გამართულ საკავშირო თათბირზე მწვავედ გააკრიტიკეს თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელი ქარხანა, რომელიც დარგის სხვა საწარმოებთან შედარებით ყველაზე ნაკლებს უშვებს სახალხო მოხმარების საქონელს ერთ მანეთ ხელფასზე ბანგარიშებით. რას გვეტყვის ამაზე გაერთიანება „ელმავალმშენებლის“ დირექტორი — ამხ. ზ. დ. ჩიგაძე? ხომ არ მოწმობს ეს, რომ აქ საკავშირო სამინისტროს ბრალი არაფერია. მაგალითად, პარტიის დასანისის რაიკომის ხელშეწყობით გაერთიანებას ახალი შენობა გამოეყო ფართო მოხმარების საქონლის საამქროს მოსაწყობად. ნავარაუდევი იყო, რომ დაასაქმებდნენ 120-ზე მეტ კაცს, რასაც რაიონისათვის სერიოზული მნიშვნელობა აქვს. გაერთიანებამ კი გადაწყვეტა გამოშვა სულ სხვა პროდუქცია, და ახლა საამქროში სულ ექვსი კაცი მუშაობს. თანაც მთელი ეს ამბავი უკვე სამი წელიწადია გრძელდება... აქ აშკარაა საქმის ფორმალური გადაწყვეტა. ეს, ამხანაგებო, არ არის სახელმწიფოებრივი მიდგომა, ეს არის წმინდა წყლის უპასუხისმგებლობა. ასეთი ფაქტები ჩვენ, სამწუხაროდ, მრავლად გვაქვს.

ბრა ვართ კმაყოფილი სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გასაფართოებლად მიმდინარე მუშაობისა ბევრ ისეთ დიდ საწარმოში, როგორიც არის ქუთაისის საავტომობილო, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნები, თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხანა, საწარმოო გაერთიანება „ჩარხმშენებელი“ და სხვ. ჩვენ არაერთგზის გაგვიკრიტიკებია ამ საწარმოთა ხელმძღვანელები, ბოლოს და ბოლოს დროა, ამხანაგებმა თ. ლ. გენძეხაძემ, გ. ვ. ქაშაკაშვილმა, ვ. შ. თოდრიამ, გ. შ. ჯიქიძემ მოახდინონ ჯეროვანი რეაგირება. აქ შეუძლიათ და უნდა გამოუშვან კიდეც მოხმარების ისეთი საგნები, რომლებიც ავტორიტეტსა და პრესტიჟს აუმაღლებს რესპუბლიკას და წარმოების ზოგადი დონის შესაბამისი იქნება.

უნდა ითქვას, რომ სამომხმარებლო მოთხოვნილების დაკმაყოფილება მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული იმაზეც, თუ როგორ აღმოიფხვრება დეფიციტი ჩვენი მრეწველობის ძალებით ამა თუ იმ სახეობის ნაწარმზე. მაგალითად, დიდია მოთხოვნილება მომინანქრებულ ჭურჭელზე, უეანგავი ფოლადის დანა-ჩანგალსა და კოვზებზე, რომელთა წარმოებაზეც არის დასპეციალებული შავი მეტალურგიის სამინისტრო. მაშასადამე, რუსთავის მეტალურგიულ ქარხანასაც შეუძლია მოჰკიდოს ხელი ამ ფრიად საჭირო ნაკეთობათა გამოშვების საქმეს.

ანდა, მოგეხსენებათ, რაოდენ დიდი მოთხოვნილებაა ხანგრძლივი სარგებლობის რთულ საყოფაცხოვრებო ტექნიკაზე — ელექტრომიქსერებზე, ყავის ელექტროსაფქვავებზე და ა. შ. ეს ელექტროტექნიკური მრეწველობისა და მსუბუქი და კვების მრეწველობის მანქანათმშენებლობის სამინისტროთა საწარმოების პოზიციაა. მათი წარმოების თვისების მიზნით შეიძლება გამოძიებნოს, ვთქვათ, საბჭოთა კავშირის მცირე სიმძლავრის ელექტრული მანქანების ტექნოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი საპროექტო-საკონსტრუქტორო ინსტიტუტის, ქარხანა „აგრეგატის“ და ბათუმის ქარხანა „ყოფმანქანის“ პარტნიორობის ფორმაც.

ჩვენ უკვე დავსახელეთ ბათუმის ქარხანა. „ყოფმანქანა“ სიმძლავრეთა არადამაკმაყოფილებელი გამოყენების გამო. არადა, აქ ხომ აქვთ საიმისო პირობები, რომ აითვისონ ისეთი ნაწარმის გამოშვებაც, როგორიც არის თეთრეულის საშრობი მანქანა, მარცვალაქუცმაცებლები, მომინანქრებული ჭურჭლის სარეცხელები. ყოველივე ეს შესაძლებლობას მისცემდა საწარმოს უკვე უახლოეს პერსპექტივაში 85-90 პროცენტამდე აემაღლებინა სიმძლავრეთა გამოყენების დონე.

რესპუბლიკაში მუსიკალური საკრავების დამზადების რიგიანი ტრადიციებია. ამ პროდუქციაზე დიდი მოთხოვნილებაა, თან ნედლეული მართლაც უნიკალური გვაქვს: ზოგიერთი სახეობის ჩვენებურ რეზონანსულ მერქანზე უდიდესი მოთხოვნაა მსოფლიო ბაზარზე. მაგრამ რატომღაც ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს მუსიკალურ-კლავიშიანი საკრავების ფაბრიკას ვერა და ვერ მიუღწევია გარდატეხისათვის თავისი პროდუქციის მაღალი ხარისხის უზრუნველსაყოფად. ესეც რესპუბლიკის პრესტიჟის საკითხია და საჭიროა მეტი დაინტერესება გამოვიჩინოთ მისი გადაწყვეტისას.

ამიტომ ერთხელ კიდევ ხაზგასმით მოგახსენებთ: საჭიროა ყოველნაირად წაგახალისოთ ინიციატივიანი ადამიანები, სტიმული მივცეთ ჩვენს კონსტრუქტორებს, მეცნიერებს, წარვმართოთ მათი შემოქმედებითი ენერგია სახალხო მოხმარების საქონლის პრობლემის გადაჭრის კალაპოტით.

მეცნიერება დიდი ძალაა, და მას ყოველთვის შეიძლება გამოვუძებნოთ კონკრეტული გამოყენება. ავიღოთ, მაგალითად, ჰოლოგრაფია, დარგი, სადაც ჩვენ მსოფლიო მასშტაბის დიდი მიღწევები გვაქვს. იგი შეესაძლებლობას გვაძლევს უნიკალურად კვლავ-ვაწარმოოთ ესა თუ ის საგანი, მათი ფერი, მოცულობა, არადა, ამ თვისებების გამოყენება შეიძლება საიმისოდ, რომ შევქმნათ დედნის უალრესად შესაბამისი გამოსახულებანი, გავაცოთ ადამიანებს ჩვენი მუზეუმების უნიკალური კოლექციები და ა. შ. მეცნიერება გასაოცარ შესაძლებლობებს გვანიჭებს, ჩვენ კი მათ, არსებითად, არ ვიყენებთ. სამწუხაროდ, არ იჩენენ ინიციატივას სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი, მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტი, კულტურის სამინისტრო, ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო.

საჭიროა შემოქმედებითად მივუდგეთ საქმეს. **ჩვენი აზრით, სწორედ საკავშირო და რესპუბლიკური ორგანოების ხელმძღვანელი და დაინტერესებული მიდგომა უნდა გახდეს სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების შემდგომი ზრდის მთავარი საფუძველი.**

აქტივის მონაწილეებს დაურიგდათ რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის წინადადებანი, რომელთა შესაბამისად მთლიანად ხუთწლედში დასახულია დამატებით იქნეს გამოშვებული დაახლოებით 800 მილიონი მანეთის მოხმარების საგნები. საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე თქვენ შესაძლებლობა გქონდათ გასცნობოდით იმ ნაკეთობათა ნიმუშებს, რომლებზეც მოსახლეობის დიდი მოთხოვნაა. თუ გავითვალისწინებთ რეზერვებს, რომლებზეც ზემოთ მოგახსენეთ, სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის წინადადებანი სავსებით რეალურია და ჩვენ პრინციპულად საფუძვლად უნდა დავუდოთ ისინი მთელ შემდგომ მუშაობას.

III.

იმისათვის, რომ უზრუნველვყოთ მაღალი საბოლოო შედეგი, წარმოებული საქონელი ოპტიმალური გზით უნდა გადავცეთ მომხმარებელს. სწორედ ამიტომ რესპუბლიკურმა კომისიამ, სხვა ორგანოებმა კონტროლი უნდა გაუწიონ სახალხო **მოხმარების საქონლის** წარმოებისა და მისი **რეალიზაციის** ერთმანეთთან დაკავშირების საკითხებს.

ამ რთული მექანიზმის ოდნავ მოშლაც კი მაშინვე დეფიციტს იწვევს. მაგალითად, მოთხოვნა საქონელზე, განსაკუთრებით კულტურულ-საყოფაცხოვრებო და სოჯახო დანიშნულების საქონელზე, შეიძლებოდა გაცილებით უკეთესად დაგვეკმაყოფილებინა **სახელმშეკრულებო ვალდებულებათა** ზუსტი დაცვის პირობებში. მარტო 1982 წელს მსუბუქი მრეწველობის სამინისტრომ ვაჭრობას დააკლო ხელშეკრულებით გათვალისწინებული 68 მილიონი მანეთისა და მეტი, ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრომ — 17 მილიონი მანეთის, ხე-ტყის და ხისდამმუშავებელი მრეწველობის სამინისტრომ — 1,5 მილიონი მანეთის, საკავშირო დაქვემდებარების საწარმოებმა — 2 მილიონი მანეთის ნაწარმი.

საქმე ის გახლავთ, რომ ახლანდელ პირობებში დამამზადებელი საწარმოები მეტისმეტად არიან ნებაზე მიშვებული. ხელშეკრულებათა მეტ წილ სპეციფიკაციებში აღნიშნულია მეტად განზოგადებული მონაცემები, გათვალისწინებული არ არის საქონლის ბევრი დიდმნიშვნელოვანი ტექნიკურ-ეკონომიკური და სამომხმარებლო მახასიათებელი. შესაბამისად წარმოების გეგმებშიც ნაკეთობათა ნომენკლატურა დეტალიზებული არ არის. მაგალითად, ტრიკოტაჟის მრეწველობაში დათქმულია ხოლმე მხოლოდ ძირითად სახეობათა საქონელი და ის, თუ რა ნედლეულით მზადდება იგი, რა სქელისა და ასაკის მომხმარებლისთვის არის გათვალისწინებული. ეს საშუალებას აძლევს საწარმოებს მოცულობითი გამოხატულებით შეასრულონ გეგმა ასორტიმენტის ჯგუფებში გადაადგილებათა ხარჯზე.

არადა, წლითიწლობით ვერ ვაკმაყოფილებთ სავაჭრო ორგანიზაციათა განაცხადებს ისეთ საქონელზე, როგორიც არის ყოველნაირი ბოჭკოს ქსოვილები, შეკერილი, ტრიკოტაჟის ნაწარმი, წინდები, ფეხსაცმელი, კულტურულ-საყოფაცხოვრებო და სოჯახო დანიშნულების საქონელი და ა. შ. სერიოზული პრობლემა გახდა ისეთი საქონლის შეძენა, როგორიც არის ჩითი, სატინი, ყოველგვარი თეთრეული, ზამთრის საბავშვო ნივთები, სათამაშოები, ქუდები, საყოფაცხოვრებო ქიმიის საქონელი, ძაფი, ავტოკალმის ღეროები, სანტექნიკის. ნაკეთობანი, მრავალი სახეობის საბაღე-საბოსტნე იარაღები, ლაქსაღებავები. ეს ნუსხა სამწუხაროდ, შეიძლება არსებითად გავაფართოოთ.

ერთ-ერთი მიზეზი ის არის, რომ საწარმოებსა და მთავარ მოქმედ პირს — მყიდველს შორის კვლავაც ალმართულია ყრუ კედელი. ასეთი სისტემის დროს მომწოდებელ ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს მხოლოდ მაშინ შეუძლიათ გაუგონ მომხმარებელს, როცა თვითონ მოხვდებიან მაღაზიაში, როგორც კლიენტები.

რა თქმა უნდა, გვესმის, რომ ზოგიერთი ტექნიკურად რთული, უნიკალური ნედლეულით დამზადებული საქონლის წარმოება დაკავშირებულია გარკვეულ სიძნელეებთან. მაგრამ როცა გვაკლია, ვთქვათ, საბაღე-საბოსტნე ინვენტარი — ცულები, თოხები, ნიჩბები, ზოგჯერ ლურსმანიც კი, ამის გამართლება ობიექტური მიზეზებით შეუძლებელია. ასეთი მიზეზები უბრალოდ არ არსებობს, ეს ჩვენი უყაირათობაა.

მაშ, რატომ იქმნება ასეთი მდგომარეობა? ვინ სწავლობს ამ საქონელზე მოთხოვნას? ვინ განსაზღვრავს მისი წარმოების მოცულობას, ვინ აძლევს შესაბამის განაცხადებს მრეწველობას? დაიწყებ საქმის გარჩევას და რწმუნდები: შესაბამისი მუშაკები უხეიროდ, მე ვიტყოდი, უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან თავიანთ სამსახურებრივ მოვალეობას, ჯერჯერობით დაინტერესებას არ იჩენენ არც ვაჭრობა და არც საწარმოები. არადა, ასეთი საკითხების გადაწყვეტა, რესპუბლიკური ორგანოების ჩაურეკლადაც შეიძლება. მათი უმრავლესობა ადგილობრივ ორგანიზაციათა კომპეტენციაშია.

ახლა, სადირექტივო საკავშირო ორგანოების გადაწყვეტილების შესაბამისად, რესპუბლიკის ვაჭრობის სამინისტროს სპეციალიზებულ საბითუმო ბაზებსა და მომწოდებელ სამრეწველო საწარმოთა შორის ხუთწლიანი პერიოდისათვის დაიდო გრძელვადიანი ხელშეკრულებანი, სადაც ჯგუფური ასორტიმენტის საქონელი განაწილებულია წლების მიხედვით. მაგრამ ამ შემთხვევაშიც დამამზადებელი საწარმო გარკვეულწილად თავის ნებაზე მიშვებული რჩება.

ვგონებ, რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, ფინანსთა სამინისტრომ მსუბუქი მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროებთან ერთად ექსპერიმენტის წესით უნდა შეიმუშაონ საგეგმო მაჩვენებლებისა და მატერიალური სტიმულირების ფორმების ისეთი სისტემა, რომელიც საშუალებას მოგვცემს უკეთ დავუკავშიროთ ერთმანეთს მრეწველობისა და ვაჭრობის ინტერესები და მიზნები.

ამასთან მეტი სიმკაცრე უნდა გამოვიჩინოთ იმ ზოგიერთი სამრეწველო საწარმოს მიმართ, რომლებიც უბრალოდ უგულებელყოფენ სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვების დავალებათა შესრულებას. შარშან ხაშურში არც კი დაუწყიათ კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ორი სახეობის ნაწარმის გამოშვება. ასევე დაუდევრად ეკიდებიან სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულებას საწარმოო გაერთიანებანი „ჩარხმშენებელი“, „საქენინმანქანა“, სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ელვა“, ბათუმის მანქანათმაშენებელი ქარხანა. ერცოფ იშვიათია შემთხვევები, როცა საწარმოები, ყველა აკრძალვის მიუხედავად, ცალმხრივი წესით წარმოებიდან ხსნიან მოსახლეობისათვის საჭირო ნაკეთობებს. სწორედ ასე გაქრა მაღაზიებში სამიარუსიანი და კუთხის თაროები, ლითონის ავთიაქები, ელექტროსალესები და ბევრი სხვა რამ.

რატომ ხდება ეს? უწინარესად იმიტომ, **რომ ჯერაც ვერ მოვაბერეთი სახალხოდ დაგვეკავშირებინა ერთმანეთთან მრეწველობისა და ვაჭრობის ინტერესები, მათი ურთიერთოხისათვის საფუძვლად დაგვედო ისეთი მექანიზმი, რომელიც აძლიერებს ურთიერთმომთხოვნელობას, დაინტერესებასა და პასუხისმგებლობას.** უნდა ავამაღლოთ დამამზადებელთა პასუხისმგებლობა პარტნიორებთან ურთიერთობაში, შესაძლოა ზოგჯერ ისინი დაფასოდეს კიდევაც, მაგრამ ჯარიმებით კი არა, დანაკარგების სრული ანაზღაურებით.

ჩვენ სერიოზული პრეტენზიები გვაქვს სავაჭრო ორგანიზაციების მიმართაც, რომლებიც სუსტ ზემოქმედებას ახდენენ მრეწველობაზე, სათანადო მომთხოვნელობას არ იჩენენ ასორტიმენტის დაცვის, იმ ახალი საქონლის ოპერატიული ათვისების მხრივ, რომელზეც მოსახლეობის მოთხოვნაა.

დეფიციტის წარმოშობის მეორე მხარეა **მოთხოვნის კონიუნქტურის არადამაკმაყოფილებელი შესწავლა, სავაჭრო ორგანიზაციათა განაცხადების დაგეგმვაში არსებული ნაკლოვანებანი.** მოთხოვნის არადამაკმაყოფილებელმა შესწავლამ შექმნა იმის წარმოდგენა, რომ წარმოშობილიყო მთელი რიგი ისეთი ნაწარმის ადგილობრივი, ასე ვთქვათ, რეგიონალური დეფიციტი, რომელთა წარმოება სრულიადაც არ არის დაკავშირებული ნედლეულის მიწოდების შეზღუდვებთან. აქ უფრო სამრეწველო საწარმოთა და სავაჭრო ორგანიზაციათა სუსტ კომერციულ მუშაობასთან გვაქვს საქმე.

ამას კიდევ უნდა დავუმატოთ საქონლის არსებული რესურსებით არადამაკმაყოფილებელი მანევრირება. აქ სრული არეულობაა. ანალიზი გვარწმუნებს, რომ **არსებული სახაქონლო რესურსებითაც კი შეგვიძლია გაცილებით უკეთ ვაკმაყოფილებდეთ მოსახლეობის მოთხოვნას, თუ ისინი გონივრულად გავანაწილეთ რეგიონებისა და დარგობრივი სისტემების მიხედვით.**

აქ გადამწყვეტი სიტყვა ეკუთვნის ვაჭრობის სამინისტროს, როგორც ყველაზე მაღალ და კომპეტენტურ ორგანოს სახალხო მოხმარების საქონლით მოსახლეობის უზრუნველყოფის საკითხებში. ბევრი რამ არის დამოკიდებული სამინისტროს აქტიურ და შემოქმედებითს პოზიციაზე. მაგრამ სწორედ მის საქმიანობაშია ძალიან ბევრი ნაკლი, ხოლო მუშაობის სტილი სრულებით არ შეესაბამება წაყენებულ მოთხოვნებს. იმის ნაცვლად, რომ იმუშაოს საწარმოებთან, გამოიყენოს ბერკეტები, რომლებიც სტიმულს აძლევენ წარმოების მოცულობის გაფართოებას, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას, ვაჭრობის სამინისტრომ ყველაზე მარტივი, ოღონ, მაგრამ უვარგისი გზა აირჩია: იგი უბრალოდ უარს ამბობს ისეთ საქონელზე, რომელზეც მოთხოვნა არ არის. ეს მცდარი პოზიცია, მაწკეიერი სტილია. ბოლო ხანებში ჩვენ სხვაგვარად მუშაობას მივე

საქართველოს პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე

(დასასრული)

საბოლოო შედეგის მისაღწევად უკეთ უნდა წარმართოთ **პროდუქციის ხარისხის მართვის კომპლექსური სისტემა,** რომელიც თავის დროზე ბევრ საწარმოში დაინერგა. იქნებ ვცადოთ, მასში შეფასების კრიტერიუმებად შევიტანოთ ვაჭრობის მოთხოვნებიც, სავაჭრო ქსელში პროდუქციის რეალიზაციის მაჩვენებელი. მაშასადამე, რაკი ეს სისტემა კომპლექსურია, იგი უნდა მოიცავდეს მთელ კომპლექსს — პროდუქციის წარმოებით დაწყებული მისი რეალიზაციით დამთავრებული. ამ შემთხვევაში იგი უფრო სრულყოფილი იქნება.

პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების, მისი ასორტიმენტის განახლების მნიშვნელოვანი რეზერვი შეიძლება გახდეს **ვაჭრობისა და წარმოების ურთიერთხელსაყრელი პარტნიორობა.** დარწმუნებული ვართ, რომ უახლოეს დროში მივიღებთ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის, ფინანსთა სამინისტროს, სხვა დაინტერესებულ სამინისტროთა და უწყებათა კონკრეტულ წინადადებებს.

ამასთან დაკავშირებით რამდენიმე სიტყვა მინდა ვთქვა ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის მოდელების სახლების შესახებ. ისინი, უთუოდ, დიდ და ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან. და მაინც, ვფიქრობთ, უადგილო არ იქნება, მოდელების სახლები რომ თავისებური შუამავლები გახდნენ მრეწველობასა და ვაჭრობას შორის, აქტიურად ამყარებდნენ პარტნიორობას მათთან და საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებთან. და, რაც მთავარია, ზედამხედველობას უწევდნენ იმას, თუ როგორ ინერგება წარმოებაში ესა თუ ის მოდელები. ესე იგი, უნდა გავაძლიეროთ ჩვენი მოდელების სახლების მაორგანიზებელი ფუნქციები.

სამომხმარებლო მოთხოვნის ჩამოყალიბებაში დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებს **რეკლამა.** ეს „მართვის ძლაური ბერკეტია, ჩვენ კი აშკარად ვერ ვიფაქსებთ ჯეროვნად მის ყველა შესაძლებლობას. რეკლამის საქმე ჩვენში სრულიად ხელმაშვებულია, ამ სიტყვის სრული გაგებით. მას ხელს ჰკიდებს ვისაც უნდა და როგორც უნდა, ამის შედეგად რეკლამა არც თავისი ფორმით და არც შინაარსით მინიმალურ თანამედროვე მოთხოვნებსაც კი ვერ აკმაყოფილებს. არავინ სერიოზულად არ დაფიქრებულა, რას და როგორ უნდა გავუწიოთ რეკლამა. ამ საქმეში თითქმის არ მონაწილეობენ ჩვენი გაზეთები, ტელევიზია და რადიო.

რეკლამა უნდა ზრდიდეს მოხმარებელს, ორიენტაციას აძლევდეს მას კარგი და საჭირო ნივთების უზარმაზარ ნაკადში, ჩვენ კი ზოგჯერ საწინააღმდეგო ეფექტს ვაღწევთ — ვაფრთხობთ მყიდველს. რაც შეეხება რესპუბლიკაში გამოშვებული ნაწარმის სასაქონლო სახეს, იგი სრულიად შეუწყნარებელია. არადა, სწორად რეკლამირებული და კარგად წარმოდგენილი საქონელი უკვე ნახევრად რეალიზებული საქონელია.

ჩვენი აზრით, უნდა ავამაღლოთ ამ პრობლემათა გადაჭრის დონე. ჩვენ გვაყავს სოლიდური ორგანიზაციები გაერთიანება „საქვაჭრრეკლამის" სახით, გამოდის სპეციალური ბიულეტენი. ამ მუშაობაში შეიძლება აქტიურად ჩავაბათ სამხატვრო აკადემია, სსრ კავშირის ტექნიკური ესთეტიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თბილისის ფილიალი, სამხატვრო კომბინატი და სხვა ორგანიზაციები.

ერთი სიტყვით, **ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ, რათა რესპუბლიკის მშრომელებს შეეძლოთ ადგილად შეიძინონ ყველა საჭირო, ხაზიდედან დამზადებული საქონელი, თვალს რომ ახარებს.**

უკეთ უნდა **ვმართოთ სახალხო მოხმარების საქონლის წარმოება რეგიონალური თვალსაზრისით.** აკაკა ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმზე ი. ვ. ანდროპოვმა პირდაპირ თქვა, რომ **ფართო მოხმარების საქონლის წარმოებაში უშუალო მონაწილეობა უნდა მიიღონ ადგილობრივმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა.** მან აღნიშნა, რომ ყოველად გაუმართლებელია ისეთი მდგომარეობა, როცა მთელი რიგი მარტივი საქონლის წარმოების საკითხი ლომის სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტში წყდება.

სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომები ჯერ კიდევ სრულად ვერ იყენებენ მათთვის მინიჭებულ უფლებებსა და შესაძლებლობებს სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გადიდების დარგში. არადა, მოსახლეობის გადახდისუნარიანი მოთხოვნა ცალკეულ რეგიონებში უფრო უარესად კმაყოფილდება, ვიდრე მთლიანად რესპუბლიკაში. მაგალითად, თელავის, ხობის, ჩხოროწყუს, ყაზბეგის, წალენჯიხის, ახმეტისა და მთელ რიგ სხვა რაიონებში გაუნაღდებელი რჩება მოსახლეობის ფულადი შემოსავლის 40–50 პროცენტზე მეტი.

რაიონებისა და ქალაქების ხელმძღვანელებმა ზოგიერთი ციფრი მოიყვანეს ცენტრალურ კომიტეტში შეხვედრების დროს. მაგალითად, ქობულეთის რაიონში გაუნაღდებელი შემოსავლის მოცულობამ 50 მილიონ მანეთს მიაღწია, მახარაძის რაიონში — 60 მილიონ მანეთს. დაახლოებით ასეთივე მდგომარეობაა გურჯაანისა და ზოგიერთ სხვა რაიონში, სადაც დიდი რაოდენობით ვყიდულობთ მოსახლეობისაგან ციტრუსს, ყურძენს, ხილსა და ა. შ. ეს შემოსავალი შრომითია, და სერიოზულად უნდა ვიფიქროთ, თუ როგორ გასაღდეს იგი. ეს არის დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური და სოციალური საკითხი.

ახლა ჩვენს თითოეულ რაიონს აქვს თავისი სასურსათო პროგრამა. **ალბათ, დროა, რამდენიმე რაიონში მოვაწყოთ სახალხო მოხმარების საქონლის ანალოგური პროგრამის აპრობირება.** მოდით, ეს იყოს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და ჩვენი რესპუბლიკური კომისიის პირველი კონკრეტული დავალება.

ამ ბოლო დროს ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით ხშირად ვიმოწმებთ ხოლმე ფოთის ექსპერიმენტს. ეს არ არის გასაკვირი, რადგან ფოთელი ამხანაგები ქალაქის ეკონომიკური და სოციალური განვითარებისადმი ხელმძღვანელობის რეგიონალური ასპექტების გაძლიერების გზით ახერხებენ ყველა პრობლემის, მათ შორის აგრეთვე სახალხო მოხმარების საქონლის პრობლემის, კომპლექსურ გადაჭრას.

აქ შექმნილმა ტერიტორიულ-დარგთშორისმა გაერთიანებამ ბევრად შეუწყო ხელი ამ საქონლის წარმოების გადიდების დამაკავებელი რეზერვების გამონახვას. ფოთელთა მუშაობის ერთ-ერთი პრინციპია „უნარჩენები ქალაქი". წარმოების ნარჩენების პასპორტიზაციისა და კლასიფიკაციის, მომხმარებელთა მოთხოვნის შესწავლის შემდეგ საწარმოებს ასათვისებლად ურჩიეს 26 დასახელების ქალაქის მასშტაბით დეფიციტური საქონელი. წელს ფოთელ ამხანაგებს გათვალისწინებული აქვთ აითვისონ 16 დასახელების ახალ სახეობათა ნაკეთობანი.

კვალიფიციურ დახმარებას უწევენ მათ რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი, სახმომარაგება. მაგალითად, პარტიის საქალაქო კომიტეტისა და რესპუბლიკის სახმომარაგების ერთობლივი გადაწყვეტილებით, ფოთში უნდა აშენდეს ნარჩენების გადამმუშავებელი და სახალხო მოხმარების პროდუქციის მწარმოებელი მრავალდარგოვანი კომბინატი. ეს პერსპექტიული საქმეა, და მას ყოველნაირად ვუჭერთ მხარს. გაერთიანების სახსრებით შენდება ჩაის კონცენტრატებისა და გამგრილებელი სასმელების კომბინატი, მწყობრში ჩადგა შპალერებისა და მოზაიკის ფილების საამქროები. გაერთიანების ფილობრივი მონაწილეობით მეზობელ რაიონებში შენდება საშენ მასალათა რამდენიმე საწარმო. აგრეთვე ფილობრივ საწყისებზე შენდება დარგთშორისი საწარმო, რომელიც ძირითადად გამოუშვებს სახალხო მოხმარების ახალ სახეობათა საქონლის წარმოებისათვის განკუთვნილ ტექნოლოგიურ მოწყობილობას. ამრიგად, აქ მთელი სიგრძე-სიგანით უძღვებიან საქმეს.

მარშან ფოთის საწარმოებმა 19 მილიონ მანეთზე მეტი ღირებულების სახალხო მოხმარების საქონელი გამოუშვეს და მოკლე ხანში მიაღწიეს მნიშვნელოვან მატებას. ამასთან ფოთელ ამხანაგებს პრაქტიკულად არ შეუწუხებიათ რესპუბლიკური ორგანოები — ყველა საკითხს ძირითადად წყვეტდნენ საქალაქო სბჭოს აღმასკომის ძალებით პარტიის საქალაქო კომიტეტის ხელმძღვანელობით.

ანალოგიურად ყალიბდება აგრეთვე თბილისის საქარხნო რაიონში კომპლექსური დაგეგმვის, მიზნობრივი მართვისა და კომერციის კოორდინაციის ტერიტორიულ-დარგთშორისი გაერთიანება. სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის გამოთვლით ცენტრთან ერთად აქ, მაგალითად, მომდინარეობს საწარმოთა პასპორტების კოდირება, რაც შესაძლებლობას ქმნის, რომ გამოავლინონ თავისუფალი საწარმოო სიმძლავრენი, რომელთა გამოყენება შეიძლება სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებისათვის.

საინტერესო წინადადებანი შეიმუშავა პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტმა თბილისის საქალაქო აღმასკომთან ერთად რესპუბლიკის დედაქალაქის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მართვის სრულყოფისათვის სამეურნეო ექსპერიმენტის ფარგლებში აქაც გთვალისწინებულია სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გაფართოების პოტენციურ შესაძლებლობათა უფრო სრული რეალიზაცია გამოუყენებელ საწარმოო სიმძლავრეთა დატვირთვის, მეორეული ნედლეულისა და წარმოების ნარჩენების საფუძველზე.

სამწუხაროდ, ყველა აღმასკომი როდი ბაძავს ასეთ მაგალითს. ადგილობრივი ორგანოების ცალკეულმა ხელმძღვანელებმა დღემდე ვერ შეიგნეს, რომ სახალხო მოხმარების საქონლის წარმოება მეტად ხელსაყრელი საქმეა. ბოლო ორ წელიწადში ადგილობრივ ბიუჯეტებს ბრუნვის გადასახადისა და ფართო მოხმარების პროდუქციის რეალიზაციის შედეგად მიღებული მოგების გადასახდელების სახით 860 მილიონ მანეთზე მეტი შეეშალა.

გარკვეული შედავათები აქვთ საწარმოებსაც. ახლად შექმნილი საწარმოები, რომლებიც ადგილობრივი ნედლეულისა და ნარჩენების გამოყენებით უშვებენ სახალხო მოხმარების საქონელს, ორი წლის მანძილზე არ იხდიან ბრუნვის გადასახადს; საწარმოო გაერთიანებებსა და ორგანიზაციებს სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა ლიმიტის გარდა ეძლევათ კრედიტი, რათა განაზორციელონ ახალი პროდუქციის წარმოებისა და ნაწარმის ხარისხის გაუმჯობესების მაღალეფექტიანი ღონისძიებანი, აგრეთვე გააფართოონ სახალხო მოხმარების საქონლის წარმოება და გაიაუმჯობესონ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურება. და თუ იმ პირობებშიც კი ზოგიერთი სამეურნეო ხელმძღვანელი პასიურად იქცევა, ადგილობრივი საბჭოები მოვალენი არიან ზემოქმედება მოახდინონ მათზე. ასეთ ფაქტებს სათანადო შეფასება უნდა მისცეს აგრეთვე რაიონებისა და ქალაქების პარტიულმა კომიტეტებმა.

V.

ფართო მოხმარების საქონლის პრობლემა მეტად მრავალპლანიანი და მრავალშრივი პრობლემაა. ზოგჯერ იგი შორს ცდება მრეწველობისა და ვაჭრობის ფარგლებს, ეხება საზოგადოების კულტურულ და სულიერ ღირებულებებს, მოითხოვს მრავალი ორგანოსა და ორგანიზაციის, აუოდენობას.

მაგალითად, ეს პრობლემა მჭიდროდ უკავშირდება ხალხური ხელმარჯვეობისა და ოსტატობის ტრადიციების აღდგენას, რასაც უდიდესი სოციალურ-ესთეტიკური მნიშვნელობა აქვს. საქართველოს ყოველი კუთხე ოდითგანვე განთქმული იყო ნიჭიერი ოსტატების ნაკეთობებით, რომლებსაც ქმნიდნენ ადგილობრივი ნედლეულითა და მასალებით. ამ ნაკეთობებში ისინი განასახიერებდნენ მშობლიური მხარის მთელ სილამაზესა და სიმდიდრეს, თავიანთი ხალხის ხასიათს, **ამიტომ ტრადიციული ხალხური სარეწების საყოველთაო აღორძინება ჩვენ არა მარტო დიდმნიშვნელოვან ეკონომიკურ, არამედ დიდ სოციალურ ამოცანადაც მივგიჩნიეთ.**

მისი გადაწყვეტისათვის უკვე ბევრი რამ კეთდება. ახლა ახმეტის, ხულოს, სიღნაღის, ყაზბეგის, თიანეთის, წალკის, დმანისისა და რესპუბლიკის სხვა მთისა და მთისწინა რაიონებში წარმატებით მუშაობენ სახალხო სარეწების საწარმოო უბნები. გამოვლინდა და აღდგა მრავალი სახეობის მხატვრული ნაწარმის გამოშვება, რომლებიც ტრადიციული იყო ამა თუ იმ რეგიონისათვის და რომლებზეც დიდი მოთხოვნაა როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე მის ფარგლებს გარეთ. საკმარისია აღინიშნოს, რომ მარტო მეათე ხუთწლედში მხატვრული სარეწების ნაკეთობათა წარმოება თითქმის ერთისამად გაიზარდა და 1980 წელს 17 მილიონ მანეთს მიაღწია.

მაგრამ ამ საქმეში ხარვეზებიც გვაქვს. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს აზრით, ადგილობრივი მრეწველობის, კულტურის სამინისტროები, სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტი, აგრეთვე სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის შესაბამისი განყოფილებანი სათანადოდ არ მუშაობენ მხატვრული სარეწების ნაკეთობათა წარმოების განვითარებისათვის.

ვერ გვაკმაყოფილებს აგრეთვე ადგილობრივი საბჭოების საქმიანობა ამა თუ იმ რეგიონისათვის ტრადიციული სახალხო სარეწების გამოვლინებისა და აღორძინებისათვის. ამ დროს კი სწორედ ისინი არიან მოწოდებული ადგილებზე შეაათანხმონ ყველა დაინტერესებული სამინისტროს, უწყების, ორგანიზაციის ღონისძიებანი, წარმართონ ხალხური ხელმარჯვე ოსტატთა შემოქმედებითი ძიება. ეს საყვედური ეხება, უწინარეს ყოვლისა, მარნეულის, გურჯაანის, ახალციხის, თერჯოლის, ბოლნისის, ადიგენისა და ზოგიერთი სხვა რაიონის ადგილობრივ საბჭოებს, სადაც საერთოდ არა აქვთ ხალხური სარეწები.

თითქმის ყველა რეგიონში არსებობს პირობები, რომ ძირითადად ადგილობრივი ნედლეულისა და მასალების გამოყენებით მოაგვაროს ხის ჭურჭლის, დაწნული კალათების, თუნის, ჩალის ნაკეთობებისა და სხვა ისეთი ნივთების წარმოება და სავაჭრო ქსელში მიწოდება, რომლებზეც დიდი მოთხოვნაა.

ამასთან, რა თქმა უნდა, რესპუბლიკური ორგანოებიც, სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი და სახმომარაგება დახმარებას უნდა უწევდნენ სამინისტროებსა და უწყებებს, ადგილობრივ საბჭოებს, საწარმოო ორგანიზაციებს — აწვდიდნენ მათ ავტოსატრანსპორტო საშუალებებს, მოწყობილობასა და სხვადასხვა ხელსაწყოს, რომლებიც საჭიროა ხალხური ხელმარჯვე ოსტატების შრომის ორგანიზაციისათვის.

ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ იმისათვის, რომ უზრუნველვყოთ ამ ნაკეთობათა მაღალი მხატვრული დონე, შევინარჩუნოთ მათი ესთეტიკური თავისთავადობა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნომ დაავალა რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, რომ ადგილობრივი მრეწველობის, კულტურის სამინისტროებთან, სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტთან და სამხატვრო აკადემიასთან ერთად შეისწავლონ რესპუბლიკაში მხატვრული სარეწების შემდგომი განვითარების შესაძლებლობანი. საჭიროა, რომ ეს პროგრამა დროულად წარუდგინონ სადირექტივო ორგანოებს.

სახალხო მოხმარების სხვა საქონელიც მოითხოვს განსაკუთრებულ ყურადღებას. ვფიქრობთ, რომ, მაგალითად, სათამაშოების წარმოებაში უფრო აქტიურ პოზიციას უნდა დაადგეს განათლების სამინისტრო. ეს სერიოზული საკითხია. კარგი სათამაშო ხომ გარემო სამყაროზე ბავშვის წარმოდგენის გაფართოების ერთ-ერთი ფორმაა.

ან ავიღოთ ისეთი სფერო, როგორიც არის წიგნის საქმე და წიგნის ვაჭრობა. წიგნი მძლავრი იდეოლოგიური იარაღია, იგი ზრდის ადამიანს, აყალიბებს მის მსოფლმხედველობას. ამ დროს კი ზოგიერთი ჩვენი გამოცემის დონე როგორც გაფორმების ხარისხის, ისე შინაარსის მხრივ ზოგჯერ უკიდურესად დაბალია. დარღვევებია აგრეთვე წიგნის ვაჭრობის სფეროში. ვიმედოვნებთ, რომ რესპუბლიკის გამსახკომი და სხვა დაინტერესებული ორგანიზაციები გადამწყვეტ ღონისძიებებს განახორციელებენ შექმნილი ვითარების გამოსასწორებლად.

როცა სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გაფართოებისა და მისი ვაჭრობის გაუჯობესებისათვის ვზრუნავთ, **უნდა გვახსოვდეს,** რომ **მართვის ნებისმიერი, ყველაზე სრულყოფილი სისტემაც კი ეფექტიანი იქნება მხოლოდ მაშინ, როცა თითოეული მუშაკი გრძნობს პასუხისმგებლობას დავალებული საქმისათვის, იჩენს აქტიურობასა და შეგნებულობას, ერთი სიტყვით, — მხოლოდ მაღალი საშემსრულებლო დისციპლინის პირობებში.**

ასეთი დისციპლინა განსაკუთრებით საჭიროა ფართო მოხმარების საგნების წარმოებასა და ვაჭრობაში. ეს სფერო ხომ მჭიდროდ უკავშირდება ფულის მიმოქცევას. უნდა გამოვრიცხოთ ყოველგვარი დარღვევები, მიტაცებები, უფიქტური ოპერაციები, წამატებები და სხვ. არ უნდა დავუშვათ, რომ ჩვენი წამოწყებებით, ექსპერიმენტებით სარგებლობდნენ არაკეთილსინდისიერი ადამიანები, საქმოსნები, თაღლითები და ნაძირალები. ასეთი შიშის, ასეთი წუხილის საფუძველი კი გვაქვს.

დარღვევათა სტატისტიკა ცხადყოფს, რომ მომსახურების სფეროს ყოველ მეორე შემოწმებულ ობიექტზე აღმოჩენენ სხვადასხვაგვარი დარღვევები, ყოველ მესამე ობიექტზე კი ზომა-წონაში მიტყუებისა და სოციალისტური საკუთრების მიტაცების ფაქტები. არის აღურიცხავი ან სამრეწველო საწარმოებიდან მოპარული ფართო მოხმარების საქონლის რეალიზაციის შემთხვევები. შარშან ვაჭრობის სამინისტროს, კავების მრეწველობის სამინისტროს, ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს, „ცეკავშირისა" და სხვათა სისტემაში გამოვლინდა დატაცების ათობით შემთხვევა.

მაგრამ მხოლოდ ასეთი ფაქტების გამოვლინებით ვერ გამოსწორდება მდგომარეობა. უნდა განხორციელდეს ეფექტიან პროფილაქტიკურ ღონისძიებათა კომპლექსი, გადაიკეტოს მიტაცების არხები. ამ საქმეში რესპუბლიკის ადმინისტრაციულ და, მაკონტროლებელ ორგანოებთან ერთად უპირველესი როლი განეკუთვნება უწყებრივ საკონტროლო-სარევიზიო სამსახურებს.

ამასთან ერთად, როგორც არასდროს, იზრდება მომთხოვნელობა ყველა სამეურნეო ხელმძღვანელისა და თვით შრომითი კოლექტივებისადმი. უნდა შეგქმნათ დარღვევებისა და თანამდებობის ბოროტად გამოყენების ფაქტებისადმი შეუწყნარებლობის ვითარება, სანიმუშო წესრიგი დავამყაროთ მეურნეობრიობის ყველა უბანზე. ყოველი ღონისძიება უნდა გავაძლიეროთ იდეოლოგიური მუშაობა, განსაკუთრებით ვაჭრობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებში, გავააქტიუროთ პირველადი პარტიული ორგანიზაციები.

სწორედ ამიტომ საკითხს ჩვენ ასე ვსვამთ: ერთი მხრივ, უთუოდ, ყოველი ღონისძიებით უნდა ვავითარებდეთ ყველა სასარგებლო წამოწყებას, შემოქმედებთან ინიციატივას. ყველგან და ყველაფერში, განსაკუთრებით კი სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებაში, საჭიროა თამამი სამეურნეო ინიციატივა. მაგრამ, მეორე მხრივ, უფრო მიზანდასახული, მწვავე და უკომპრომისო უნდა გახდეს ჩვენი ბრძოლა საქმოსნობის ყოველგვარი გამოვლინების, სხვადასხვა თაღლითობის, სოციალისტური წარმოების კანონების დარღვევების წინააღმდეგ. კიდევ ერთხელ ვაცხადებთ: **საქმოსნობას საერთო არა აქვს რა სოციალისტურ თანამონაწილეობასთან, სოციალისტურ ინიციატივასთან, რომლებიც მიზნად ისახავენ სახოგადოების კეთილდღეობას, ემსახურებიან უწინარეს ყოველისა სახოგადოებრივ ინტერესებს, ჩვენი მშრომელების კეთილდღეობის დონის ამაღლების ინტერესებს.**

ჩვენ გვითქვამს და კვლავაც ვამბობთ, რომ ინიციატივის მომხრენი ვართ, ვახალისებთ საქმის გაქანებას. ამასთან ერთად, ჩვენ გაგვიფრთხილებია და კვლავაც ვაფრთხილებთ ყველას, რომ კიდევ უფრო გავაძლიერებთ ბრძოლას კანონის დარღვევის, კერძოსაკუთრული ფსიქოლოგიის, ნეგატიური მოვლენების ყოველგვარ გამოვლინებათა წინააღმდეგ.

მტკიცედ ვართ დარწმუნებული, რომ მშრომელებიც ასეთი აზრისანი არიან

ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებმა სულითა და გულით დაუჭირეს მხარი პარტიის ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებს პარტიული, სახელმწიფო და შრომის დისციპლინის განმტკიცების შესახებ, კონკრეტული ინიციატივებით გამოეხმაურნენ პარტიის მოწოდებას — უკომპრომისო ბრძოლა გამოუცხადონ ჩვენი სოციალისტური სახოგადოების ნორმებისა და კანონების ყოველგვარ დარღვევებს. ეს იმიტომ, რომ ასეთი მიდგომა შეესაბამება თითოეული პატიოსანი ადამიანის, კეთილსინდისიერი მშრომელის ძირეულ ინტერესებს. **თითოეული მოკალაქე დაინტერესებულია, რომ დამყარდეს მტკიცე სახოგადოებრივი დისციპლინა!** მტკიცე დისციპლინის პირობებში სახოგადოებას შეუძლია აწარმოოს მეტი მატერიალური დოვლათი და მიაღწიოს მათს სამართლიან განაწილებას.

რაც უფრო უკეთესად ვიმუშავებთ, მით უფრო უკეთესად ვიცხოვრებთ, ხაზგასმით აღნიშნა ამხანაგმა ი. ვ. ანდროპოვმა. და ეს ფორმულა განსაკუთრებით თვალსაჩინოდ ვლინდება სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებაში. **რაც უფრო მეტ კარგ და მაღალხარისხოვან საქონელს ვაწარმოებთ ხალხისათვის, მით უფრო გაუმჯობესდება საბჭოთა ადამიანების ცხოვრების პირობები!**

ნება მიბოძეთ, ამხანაგებო, გამოვთქვა რწმენა, რომ პარტიულ-სამეურნეო აქტივის დღევანდელი კრება ახალი ეტაპი იქნება ამ დიდმნიშვნელოვანი ეკონომიკური და სოციალურ-პოლიტიკური ამოცანის გადაწყვეტის გზაზე, ხელს შეუწყობს მთელი საბჭოთა ხალხის მატერიალური კეთილდღეობის დონის ამაღლებაში რესპუბლიკის წვლილის შემდგომ გადიდებას.

დისციპლინის შემდგომი განმტკიცების ინტერესებისათვის

29 მარტს რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში გაიმართა მუშების, მოსამსახურეების წარმომადგენელთა, წარმოების ყველა რგოლის, ადმინისტრაციის, პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციების ხელმძღვანელთა კრება რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების, პარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტის, მასობრივი ინფორმაციისა და პრესაგანდის საშუალებათა ხელმძღვანელების მონაწილეობით. განიხილეს დისციპლინის შემდგომი განმტკიცების, შრომითს კოლექტივებში ორგანიზებულობის ამაღლების ღონისძიებათა საკითხი. სკკ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმის მოთხოვნების, ამ პლენუმზე, მოსკოველ ჩარხმშენებლებთან შეხვედრაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ი. ვ. ანდროპოვის გამოსვლებში ჩამოყალიბებული დებულებების, დასკვნებისა და რეკომენდაციების შესაბამისად.

კრებაზე გამოსულმა ორატორებმა ერთსულოვნად მოიწონეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის, საბჭოთა მთავრობის, საზოგადოებრივი ორგანიზაციების ღონისძიებები დისციპლინისა და ყველა მისი გამოვლინების განმტკიცებისათვის, ამ უმნიშვნელოვანესი სახელმწიფოებრივი საქმის კანონმდებლობითი მოწესრიგებისათვის. წამოაყენეს კონკრეტული წინადადებანი, გამოთქვეს მოსაზრებანი, რომელთა მიზანია ყველგან და ყველაფერში სანიმუშო წესრიგის დამყარება.

კრების მუშაობაში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ეკონომიკის განყოფილების სექტორის გამგე ნ. პ. აბარინი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი გ. ვ. კოლბინი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საგეგმო და საფინანსო ორგანოების განყოფილების გამგე ლ. ი. ხაბურზანია, საქართველოს პროფსაბჭოს მდივანი ი. გ. ხაზარაძე, საქართველოს სსრ შრომის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე რ. ა. ჯაფარიძე, საქართველოს კომპარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი რ. მ. გორგაძე.

მარცვლეულის, ბოსტნეულის, ხილის საერთო მოსავლიანობის და მეცხოველეობის პროდუქტიულობის ინტენსიური ზრდის მიზნით ღონისძიებათა კონცენტრაციის გამოცდილება, რომელიც გარდაბნის რაიონმა შეიძინა, სულ უფრო მეტ ყურადღებას იპყრობს ჩვენს რესპუბლიკაში და მის ფარგლებს გარეთ.

ამ დღეებში რაიონს ეწვია საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის — სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ფილიალის თანამშრომლების ჯგუფი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ჯ. პატიაშვილმა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგემ ლ. ზაქაიძემ მეცნიერ-საზოგადოებათმცოდნეებს გააცნეს რესპუბლიკისა და ქვეყნის სოფლის მეურნეობაში ამჟამად მიმდინარე გარდაქმნები, ესაუბრნენ იმაზე, თუ რა ძირეულად იცვლება დარგის მართვა, რა ღონისძიებებს ახორციელებენ პარტია და მთავრობა სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციისათვის.

პარტიის რაიკომის პირველმა მდივანმა ო. ბოკერიამ სტუმრებს უამბო, თუ როგორ იხვეწება კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდისათვის პარტიული მუშაობის სტილი და მეთოდები, როგორ რაზმავენ მიწათმოქმედებს სასურსათო პროგრამის განსახორციელებლად, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა დანერგვისათვის, ილაპარაკა აგროსამრეწველო გაერთიანების საქმიანობის შესახებ.

ინსტიტუტის თანამშრომლები იყვნენ ჯანდარის სასუქებელ და გარდაბნის მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობებში, დაათვალიერეს კრწანისის სასათბურე მეურნეობის ქიმასოკოს ნაკვეთი, ეწვივნენ საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო სასწავლო-კვლევითის ინსტიტუტს, სადაც მიმდებარე ტერიტორიებზე ინსტიტუტის ბაზაზე ფუნქციონირებს ინსტიტუტის ბაზა.

უკანასკნელი ბატონები!

ᲐᲛ ᲠᲣᲑᲠᲘᲙᲘᲗ „ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ“ ᲙᲘᲗᲮᲕᲐᲡ ᲐᲪᲮᲝᲑᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲬᲐᲠᲣᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘᲜ ᲐᲛᲟᲐᲛᲘᲜᲓᲔᲚᲘ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ-ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚ-ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲕᲘᲗᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲠᲒᲐᲠᲔᲗᲔᲚᲘ ᲔᲐᲠ-ᲨᲔᲛᲬᲧᲕᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ.

ᲡᲣᲠᲕᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲘᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲝ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡᲐ და რუსეთს შორის ორი საუკუნის წინათ დადებული გეორგიევსკის ტრაქტატი დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო მთელი ამიერკავკასიისა და ამდენად მეზობელი ქვეყნებისა და ხალხებისათვის. ტრაქტატის დადება იმას ნიშნავდა, რომ ამიერიდან მტრები ვეღარ ითარეშებდნენ ჩვენს ტერიტორიაზე და მათ ექსპანსიონისტურ პოლიტიკას კავკასიის მიმართულებით ზღვარი უნდა დადებოდა. ამიტომ სრულიად ბუნებრივია, რომ ამ ისტორიულ დოკუმენტს, ისევე როგორც საერთოდ XVIII საუკუნის დასასრულს და XIX საუკუნის დასაწყისში საქართველოსთან ურთიერთობის საკითხებს ჩვენი სამხრეთელი მეზობლების ისტორიოგრაფია გვერდს ვერ აუვლიდა. არც ის არის გასაკვირი, რომ ეს თემატიკა ზოგიერთი თანამედროვე ირანელი ისტორიკოსის ყურადღებას დღესაც მიიქცევს. საქართველოს საკითხი ირანის ისტორიის ერთ-ერთ მთავარ პრობლემად არის წარმოდგენილი. ამასთან ამ საკითხს ისინი ტენდენციურად, დამპყრობელის პოზიციებიდან განიხილავენ. როდესაც ისტორიის ამ მონაკვეთის მოვლენებს ეხებიან, ცალკეული ირანელი ისტორიკოსები განსაკუთრებით დიდ ადგილს უთმობენ ირან-საქართველოს, რუსეთ-საქართველოს და ირან-რუსეთის ურთიერთობებს. ამ მხრივ გამოირჩევა აბდ ორ-რეზა ჰუშანგ მაჰდავის წიგნი „ირანის საგარეო ურთიერთობათა ისტორია“. ავტორი მასში საგანგებოდ მიმოიხილავს ირანის პოლიტიკას ამიერკავკასიის, კერძოდ, საქართველოს მიმართ, ისევე როგორც ირან-რუსეთის ურთიერთობებს სხვადასხვა მომენტს. საერთოდ, ა. ჰ. მაჰდავის პოზიცია იმაში მდგომარეობს, რომ რაღაც სამართლებრივი საფუძველი მოუძებნოს ირანის მმართველების დამპყრობელურ პოლიტიკას საქართველოში. მას სურს დაამტკიცოს, რომ საქართველო წარმოადგენდა არა სუვერენულ, დამოუკიდებელ სახელმწიფოებრივ ერთეულს, არამედ ირანის ნაწილს, მის კუთვნილ, ხელდებულ ტერიტორიას. ამ ფალსიფიკაციებს იგი იმდროინდელ ირან-რუსეთის ურთიერთობის საკითხებს, ხოლო გეორგიევსკში ხელმოწერილი ტრაქტატის პირობებს, რომელთა თანახმად საქართველო რუსეთის მფარველობაში გადადიოდა, წარმოადგენს, როგორც რუსეთის მიერ ირანის კუთვნილი ტერიტორიის ხელყოფას. ამ თეზისზე დაყრდნობით ცდილობს რუსეთის პოლიტიკა ირანის მიმართ საეროდ, და არა მარტო საქართველოსთან დაკავშირებით, დაახასიათოს როგორც აგრესიული და ექსპანსიონისტური.

ამისათვის, რათა ირანის მმართველების მიერ სხვადასხვა დროს განხორციელებული, სისასტიკით გამორჩეული, სისხლიანი ლაშქრობები საქართველოში კანონიერების ფონზე წარმოადგინოს, ა. ჰ. მაჰდავი საგანგებოდ და ხაზგასმით აღნიშნავს, თითქოს, **ირანს ისტორიული მემკვიდრეობის უფლება ჰქონდა საქართველოზე, როგორც მისი ტერიტორიის „განუყოფელ“ ნაწილზე.** ამასთან ერთად, იგი იქვე დასძენს, რომ ვინაიდან საქართველოს „მოსახლეობის უმრავლესობა ქრისტიანი იყო, საშინაო საქმეების მართვაში ერთგვარი ავტონომიით სარგებლობდაო“. ამრიგად, ა. ჰ. მაჰდავი, საქართველოს აცხადებს, როგორც ირანის ტერიტორიას, მის ჩვეულებრივ პროვინციას. **ეს ისტორიული ფაქტების აშკარა დამახინჯება, თავდაყრა დაყენებაა!** ქვენა, დამპყრობლური პოლიტიკური მიზნებითა და მოსაზრებებით ასე უსირცხვილოდ სურთ გააყალბონ ქართველი ხალხის ისტორია, რომელიც სულ სხვას, სწორედ კარდინალურად საწინააღმდეგოს ღაღადებს, რომ დიდი წარსულის მქონე ჩვენი ხალხი საუკუნეების მანძილზე ქედუხრელ ბრძოლას ეწეოდა ყველა ჯურის მომხდურ-მოძალადის წინააღმდეგ, რომლებიც უწყვეტ ნაკადად მოედინებოდნენ არაბეთის ცხელი უდაბნოებიდან, თუ ცენტრალური აზიის ტრამალებიდან. არ დარჩენილა აზიის თითქმის არც ერთი დამპყრობელი, რომელსაც ფეხი არ შემოედგას ქართველთა ტერიტორიაზე, ოფიციალური ენითა და ტრადიციებით. მიუხედავად ამისა, ეს ერი ისტორიულ ასპარეზზე ამოვარდა, ეროვნული სახელმწიფოებრივი ინსტიტუტებით, ეროვნული ენა-კულტურა, ეროვნული ეკონომიკა, ეროვნული ფასეულობანი, ეროვნული ხასიათი, ეროვნული ფსიქიკა, ეროვნული ბედნიერებანი, ეროვნული ტანჯვა-წამება, ეროვნული ბრძოლა, ეროვნული ტრაგედია, ეროვნული ტრიუმფი, ეროვნული ეგოიზმი, ეროვნული ... ეროვნული ... ეროვნული ...